



ახალი გენათილეა

19-25.04.2018

№13 (807) განმოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ღელანით მოხატული ქალაქი

პროფესიული უნარების გამოსდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLİ SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով



გვერდი 6

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული
უნარები

ტესტები

წიგნის თარო

ტესტების ხარბული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საბამო დრო პროგრამას.

ფასი - 15 ლარი

თსუ – 100

როგორ დაიხვე ტირანიის სამსჯავროზე აკაკი შანიძემ ივანე ჯავახიშვილი

გვერდი 2

პროფესიული განვითარება

მოღერნიჭებული ტრენინგები გამოსდებზე დარებისტრიკული კრაქტიკოსი პედაგოგებისთვის

გვერდი 4

ინოვაციის კონკურსი

AIA GESS-ის მოსწავლეები NASA-ს კოსმოსურ ცენტრში გაემზავრებიან

გვერდი 5



აკაკი შანიაგი (1887-1987)

აკაკი შანიძე თურმე ძალიან განიცდიდა, რომ ქართული დამწერლობის უძველესი სახე - ასომთავრული - დავიწყებას მიეცა. ამიტომაც ფიქრობდა, რომ თანამედროვე ქართულში მთავრული ასოები აღედგინა, ხოლო თავად მიომწერის დროს, წინადადების დასაწყისში და საკუთარ სახელებთან, ყოველთვის იყენებდა ასომთავრულს. ამის დასტურია მისი ხელმოწერა.

აკაკი შანიძე გახლავთ ივანე ჯავახიშვილის მოსწავლეც, თანამებრძოლიც და თანამოაზრეც. იყო უნივერსიტეტის დამფუძნებელი, იმ საინიციატივო ჯგუფის წევრი, რომელიც უნივერსიტეტის გახსნამდე მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად იყო ჩაბმული. აკაკი შანიძე იყო პირველი პროფესორის წევრი და, რაც ყველაზე საინტერესოა, პირველი, ვინც ახალგაზსნილ ქართულ უნივერსიტეტში (1920 წელს) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ცნობისმოყვარე ბავშვი ერთხელ ხედავს, ბიძამისი (სამეგრელოში მედავითნედ ნამსახურები) როგორ გაუბამს მეგრულად საუბარს ერთ მეგრულს და ნატვრა აღმოხდება: „ნეტა მეც მაცოდინა მეგრული“. რას წარმოიდგენდა მაშინ, რომ

როგორ დაიწვა ბირანიის სამსჯავროზე აკაკი შანიძე ივანე ჯავახიშვილი

თბილისის უნივერსიტეტი თავისუფალ საქართველოში დაარსდა. ამიტომ იგი სტრუქტურით, სასწავლო პროგრამებითა და, რაც მთავარია, პროფესორთა კორპუსით უნივერსიტეტი იყო. უნივერსიტეტის პროფესორებს განათლება რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული. პროფესორთა ამ შემადგენლობას, დამფუძნებლის, ივანე ჯავახიშვილის წინამძღოლობით, შეეძლო უნივერსიტეტი დიდ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად ექცია. საფუძვლები ამისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921 წწ.) მომზადდა. სამწუხაროდ, უნივერსიტეტმა თავისუფალ საქართველოში მხოლოდ სამი წელი იარსება (1918 წლის იანვარი-1921 წლის თებერვალი). 1921 წელსვე ცხადი გახდა, რომ ევროპული უნივერსიტეტი საბჭოთა პოლიტიკური სისტემისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთში უკვე მიმდინარეობდა ბრძოლა ევროპული უნივერსიტეტების ტრადიციებზე დაარსებული პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა უნივერსიტეტების წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის პროფესორში სერიოზულ ოპოზიციურ ძალას ხედავდა. პროფესორის აბსოლუტური უმრავლესობა 1917 წელსვე დაუპირისპირდა საბჭოთა წყობილებას. დაპირისპირება კიდევ უფრო გაძლიერდა მომდევნო ხანებში. ბოლშევიკებს, მიუხედავად იმდროინდელი სურვილისა, არ შეეძლოთ ხელის ერთი მოსმით დაეხურათ ყველა უნივერსიტეტი. სამაგიეროდ, დაიწყო ბრძოლა უნივერსიტეტების საბჭოთა უნივერსიტეტებად გარდაქმნისათვის. სისხლიან დიქტატურას არ შეუშინდა და საუნივერსიტეტო ტრადიციების შენარჩუნებას შეეცადა მისი პროფესორი. ეს იმხანად თავგანწირვის ტოლფასი იყო. 1921 წლიდან თბილისის უნივერსიტეტიც ისეთივე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც უკვე იმყოფებოდნენ რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების უნივერსიტეტები: მოსკოვის, პეტროგრადის, ოდესის, კიევის, ხარკოვისა და სხვა. თბილისის უნივერსიტეტის საბჭოთა უნივერსიტეტებად გარდაქმნას წინ აღუდგა მისი რექტორი ივანე ჯავახიშვილი და პროფესორი: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, პეტრე მელიქიძე, ფილიპე გოგიანიშვილი, დიმიტრი უზნაძე, თვითონვე წერეთელი, მიხეილ პოლივექტოვი, ალექსანდრე ვაღაჭერელიძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვები. საბჭოთა ხელისუფლების ოპოზიციურად განწყობილი უნივერსიტეტების პროფესორთა „ძველ პროფესორად“ მოიხატა. უნივერსიტეტები არ ნებდებოდნენ, საბჭოთა ხელისუფლება რადიკალურ ღონისძიებებს მიმართავდა. საუნივერსიტეტო განათლების სისტემა საბჭოთა ხელისუფლებამ მოძველებულად ჩათვალა და დაიწყო უნივერსიტეტების დაშლა დამოუკიდებელ სასწავლო ინსტიტუტებად. 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოთხ დამოუკიდებელ, სპეციალიზებულ სასწავლო ინსტიტუტებად გარდაიქმნა. ერთ-ერთი იყო საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის შემადგენლობაში აღმოჩნდა ყველა ჰუმანიტარული სპეციალობა.

ძველი პროფესორის წინააღმდეგ ბრძოლა 1930 წელს გადაიზარდა დიდ კამპანიაში, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით, ცნობილ რუს მეცნიერ-ეკონომისტს, ნიკოლაი კონდრატიევს, რომელიც არ იზიარებდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გეგმებს, ბრალი დასდეს არალეგალურ ანტისაბჭოთა საქმიანობაში, გასამართლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს (1938 წელს ნ. კონდრატიევი დახვრიტეს). ნიკოლაი კონდრატიევის გასამართლების შემდეგ დაიწყო ბრძოლა ე.წ. კონდრატიევიშინის წინააღმდეგ, რაც, პრაქტიკულად, საბჭოთა წყობილებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პროფესორის

მომავალში არა თუ მეგრულსა და სვანურს, არამედ ბერძნულს, ლათინურს, არაბულს, სპარსულს, სომხურს, თურქულს, გერმანულს, ინგლისურს თუ ფრანგულსაც ისწავლიდა, და არა თუ ისწავლიდა, არამედ ყველაზე შორს შეაღწევდა ქართულ ენათა სტრუქტურის დახლართულ ლაბირინთში!

აკაკი შანიძემ თბილისის უნივერსიტეტში 1920 წლის 9 მაისს პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. დისერტაციის საჯარო დაცვა კვირა დღეს შედგა №1 აუდიტორიაში. სხდომა გახსნა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა კორნელი კეკელიძემ, ხოლო ფაკულტეტის მდივანმა, პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო დისერტაციის ბიოგრაფია. თავმჯდომარის მიწვევით, დისერტანტი აკაკი შანიძე კათედრაზე ავიდა. იმაჟამად უნივერსიტეტში მიღებული წესისამებრ, იგი ნაქირავებ თეთრ ხელთათმანებსა და ფრაკში იყო გამოწყობილი. რადგან დანერვილი შესავალი სიტყვა შინ დარჩენოდა, ზეპირად ილაპარაკა: „დიდად ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს პირველ უმაღლეს სასწავლებელში პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბედმა მე მარგუნა. ბედნიერი ვარ მით უმეტეს, რომ ჩემი დისერტაციის საგანია ერთი მოველი ქართული ენისა, და სად, თუ არა საქართველოში? სად, თუ არა ჩვენს დედაქალაქში? სად, თუ არა ქართულ სამეცნიერო ტაძარში უნდა იყოს დაცული ასეთი დისერტაცია?! ბედნიერი ვარ უზომოდ, მაგრამ ამასთანავე, მაფიქრებს ერთი გარემოება: ვაი, თუ ჩემი პატარა შრომა არ შეეფერებოდეს იმ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორცაა სამეცნიერო ხარისხის მოპოვების დაწყება ჩვენში. მაფიქრებს ეს გარემოება, მაგრამ თანაც ის მაძლევს გამბედაობას და მიმატებს მხნეობას, რომ დიდი საქმე, საზოგადოდ, მცირით დაწყებულა და ამიტომ ეგების მცირედი შრომა, რამდენადმე მაინც, აკმაყოფილებდეს დღევანდელი დღის მოთხოვნილებას“ (აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1981 წ.).

ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის, პროფესორების -

იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვალების გამო უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დაანვა“ (ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937 წ.).

მართლაც, მეტად მძიმე იყო ეს ტვირთი. მაგრამ აკაკი შანიძემ იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ ითავა არა მხოლოდ ქართული ენის სალექციო კურსის ნაკითხვა, არამედ მან შეძლო სრულებით ახალი სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინების შექმნა და სწავლება: ქართული დიალექტოლოგია, ქართული პალეოგრაფია, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, სვანური ენა, ნოვა-თურქური, სპექტრული - „რუსთველის ენა“.

უნივერსიტეტის გარდა, 1935-36 წლებში იგი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს - „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ და „ქართული დიალექტოლოგია“.

1946-1948 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში;

1948-1950 წწ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

1966 წ. - იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი;

1971 წ. - მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ნაშრომისათვის „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“;

1977 წ. - მიენიჭა საუნივერსიტეტო პრემია ნაშრომისათვის: „ძველი ქართული ენის გრამატიკა“;

1979 წ. - ინგლისის „ფილოლოგიათა საზოგადოების“ საპატიო წევრი გახდა;

1987 წ. - „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენისათვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია;

1987 წლის 26 თებერვალს საზეიმოდ აღინიშნა აკაკი შანიძის დაბადებიდან ასი წლისთავი. იუბილარი თვითონ ესწრებოდა საიბულო საღამოს თბილისის ოპერის თეატრში.

შეყრილ კომკავშირულ-კომუნისტ აქტივისტებს ეგონათ, რომ აკაკი შანიძეს მათი ხმაური და შეძახილები უკან დაახევინებდა და მათთვის სასურველ განცხადებას გააკეთებინებდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. სრულიად მოულოდნელად აკაკი შანიძემ ივანე ვაშაყმაძეს მიეღო „ნაღვანი“ წყალში ჩაუყარა: „მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩანახლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა“. ასეთი გაზედული განცხადება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ კრების თავმჯდომარემ სიტყვაც ვერ გაანყვეტინა მისთვის არასასურველ პროფესორს, არც დარბაზიდან გამოიღო ვინმემ თავი. ყველაფერი ცხადი იყო: აკაკი შანიძე ივანე ჯავახიშვილის შესახებ აუტს ვერ დააცდენინებდნენ. ეს კი იმ სიტუაციაში გვირობის ტოლფასი იყო.

ამ ამბების თვითმხილველი, ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მოგვიანებით იტყვის აკაკი შანიძეზე: „ვის დაავინყდება მისი გამოსვლა ტფილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა ჩვენს ძვირფასს ივანე ჯავახიშვილს თავს დაესხნენ უგუნური ფილისტერები“.

1940 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა. ამ დროისათვის მისი დევენა უკვე შეწყვეტილი იყო. თუმცა მრავალი უბედურების გადაძებანი ადამიანები მაინც შიშობდნენ, მართალი სიტყვა ეთქვათ ივანე ჯავახიშვილზე. ზოგიერთმა მათგანმა, ოცდაათწლიანი აკრძალვის არარსებობის მიუხედავად, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ივანე ჯავახიშვილის სამარესთან მიახლოებას კი ვერ გაბედა. თბილისის უნივერსიტეტის სახელით მის დამაარსებლს გამოსათხოვარი სიტყვა აკაკი შანიძემ უთხრა. მან ასე დაიწყო: „ძვირფასო მასწავლებელო, სახელოვანო მეცნიერო, დიდო ივანე!“ ეს ისევ პროტესტი იყო, პროტესტი მათ წინააღმდეგ, ვინც ივანე ჯავახიშვილს დევნიდა. ასე დაამკვიდრა აკაკი შანიძემ ქართულ სინამდვილეში უნივერსიტეტის დამაარსებლისა და ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქის ღვაწლის ყველაზე ლაკონური და ზუსტი შეფასება: „დიდი ივანე ჯავახიშვილი“.

მასტანბ გურული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

1936 წლის სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოში ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა. ბუნებრივია, რუსულიც სახელმწიფო ენა იყო, რადგან საქართველო სსრკ-ს შემადგენელი ნაწილი, მოკავშირე რესპუბლიკა გახლდათ, მაგრამ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი არ იყო შეზღუდული. 1978 წელს, როცა ეს საკითხი გახდა საკამათო, ძველი ქართული ენის კათედრამ, აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, უარი განაცხადა მხარი დაეჭირა კონსტიტუციის იმ პროექტისათვის, რომლითაც ქართული ენა საქართველოში აღარ ცხადდებოდა სახელმწიფო ენად. ეს მაშინ გვირობის ტოლფასი იყო. აკაკი შანიძემ მაშინ 90 წელს იქნებოდა მიღებული. სტუდენტებში საპატრიარქო მოძრაობა უკვე დაწყებულიყო და კომუნისტური პარტიის აპარატი, რომლის წარმომადგენლებიც უნივერსიტეტშიც იყვნენ, ცდილობდნენ, შეეჩერებინათ ეს მოძრაობა, მაგრამ არ გამოუვიდათ - სტუდენტებს ლექტორებიც უჭერდნენ მხარს და მათში მთავარი ფიგურა ქართული მეცნიერების ბერძენა - აკაკი შანიძე იყო.

პუბლიცისტური ნარკვევების კრებულის „ქართული საქმის კაცი - აკაკი შანიძე“ მიხედვით მოამზადა ანა ფირცხალაიშვილმა



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა ასხადებს კონკურსს



კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა
Caucasus School of Governance

ასოცირებული პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი);

ასისტენტ-პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი), ასისტენტის (2 ვაკანტური ადგილი)

თანამდებობების დასაკავებლად შეიძლება მიმართულა:

1. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება:
ასოცირებული პროფესორი – 2, ასისტენტ-პროფესორი – 1,
ასისტენტი – 1

- საერთაშორისო ურთიერთობების თეორია;
- საერთაშორისო უსაფრთხოება;
- საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა;
- საერთაშორისო ტერორიზმი.

2. სახელმწიფო მართვა და პოლიტიკის მეცნიერება:
ასოცირებული პროფესორი – 1, ასისტენტ-პროფესორი – 1,
ასისტენტი – 1

- ეკონომიკა;
- პოლიტიკური ეკონომიკა;
- ელექტრონული მმართველობა;
- სტრატეგიული მენეჯმენტი;
- პოლიტიკური იდეოლოგია;
- საჯარო მართვა და ანალიზი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება;

ბ) ასისტენტ-პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველი დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტისთვის

- დოქტორანტი, რომელსაც სასურველი ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი ვადამდებური ან/და პრაქტიკული გამოცდილება.
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც

ამჟს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი, პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც ამჟს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოთვალვის აუდიტორული კომპეტენცია.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში-ავთენტურებაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
- სამეცნიერო-ვადადგომითი მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამომყვანული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;

II ეტაპი – პრაქტიკული;

III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოგზავნოთ მითითებული

დოკუმენტები, შეიძლება მისამართზე: hr@cu.edu.ge

სახელმწიფო მართვის სკოლაში მითითებული შესაბამისი

აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

შენიშვნა: კავკასიის უნივერსიტეტი ითხოვს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ II ეტაპზე გადასულ პირებს კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2018 წლის 19 მაისიდან 2018 წლის 19 ივნისის ჩათვლით

კონკურსი

გავუფრთხილდეთ მოზლიურ ენას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენის დღეს, მოძრაობის „არა ბარბაროზებს“ ფარგლებში, სკოლის მოსწავლეთა კონკურსში „გავუფრთხილდეთ მოზლიურ ენას!“ გამარჯვებული კონკურსანტების და ქართული ენის სწავლებისა და პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

კონკურსში 40 სკოლა მონაწილეობდა, მთელი საქართველოს მასშტაბით. მოსწავლეებმა დაწერეს ესე თემაზე: „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მოზლიურ ენას“, სკოლებმა კი ჩაატარეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. საკონკურსო ფიურის, განსახილველად, სკოლებმა მათ მიერ შერჩეული 125 ესე გადასცეს, რომელთაგანაც ფიურიმ 20 გამარჯვებული მოსწავლე გამოავლინა.

გამარჯვებული მოსწავლეებს და მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და თბილისი ბანკისგან ჯილდოები და სიგელები გადაეცათ.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის

გადანყვეტილებით გამარჯვებული ესეები დაიბეჭდება კონკურსის კრებულში, რომელიც გამოიცემა 2018 წლის სექტემბერში, ენების ევროპული დღის აღსანიშნავად.

სიგელებით დაჯილდოვდნენ, ასევე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქართული ენის სწავლებისა და პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის.

კონკურსის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი: „ქართული ენა ჩვენი, ქართული – კულტურული, ეთნიკური და მნიშვნელოვანწილად, სახელმწიფოებრივი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფენომენია. არსებობენ ერები, არსებობენ კულტურები, არსებობენ უაღრესად ძლიერი სახელმწიფოები, სადაც ასეთ როლს ენა არ თამაშობს. მათ სხვა გამაერთიანებელი ნიშნები გააჩნიათ, სხვა ფენომენები, რომლებიც აერთიანებენ ამ სახელმწიფოებს და ამ ერებს.“

საქართველოს შემთხვევაში, ენამ მართლაც უნიკალური როლი შეასრულა ამ ურთულეს რეგიონში. ასეთი მცირერიცხოვანი ეთნოსის და სახელმწიფოს უაღრესად დრამატულ-



ლი ათასწლეულების განმავლობაში გადარჩენისა და იდენტობის შენარჩუნების პროცესში.“

საქართველოს პრეზიდენტმა ქართული ენის განვითარების ისტორიული პროცესი გაიხსენა და აღნიშნა, რომ ფარნავაზის დროს პირველი, ერთიანი სახელმწიფოს შექმნა ქართული დამწერლობისა და ანბანის შექმნასაც უკავშირდება.

„და კიდევ ერთი, ჩვენი ერის ჩამოყალიბების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში იყო მეოთხე საუკუნე, როდესაც ჩვენ ქრისტიანობა მივიღეთ. და ამ მომენტშიც, ქრისტიანობის მიღება, გარდა სულიერი არჩევანისა, იყო შესაძლებლობა საკუთარი თავის გამოყოფის, იდენტიფიკაციის, საკუთარი ენდემურობის და განსაკუთრებულობის გამოჩენის და ამ მომენტშივე სწორედ ახალ ძალას იძენს ქართული დამწერლობა და ქართული ენა, რომელიც მანამდე, როგორც ვხედავთ, თუნდაც ადმინისტრაციულ დოკუმენტაციაში ან სხვა შემორჩენილ წყაროებში, ასე აქტიური არ არის, მაგრამ როგორც კი ერს და სახელმწიფოს უჩნდება მოტივაცია, შექმნას ახალი ძლიერი ტალღა, ხელახლა დაადგინოს და განსაზღვროს თავისი თავი, აი, ამ მომენტში ჩვენი წინაპრები სწორედ ჩვენს დამწერლობას და ჩვენს ენას იყენებენ მთავარ მა-

კონსოლიდირებელ ძალად, გარკვეულ დეროვტად, რომელიც უნარს აძლევს პოლიტიკოსებს, უნარს აძლევს ერს, უნარს აძლევს საზოგადოებას იმისთვის, რომ შექმნას და ძლიერად დაამკვიდროს თავისი იდენტობა.“

პრეზიდენტის განცხადებით, გლობალიზაცია, ერთდროულად, სამიშრობაც არის და ძალიან დიდი შესაძლებლობაც. როგორც ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს და ჩვენი ქვეყნისა და ერის უაღრესად ძლიერი უნარი სახელმწიფოს და ქვეყნის მაკონსოლიდირებელ ძალად აქციეს, ჩვენ წინაშეც იგივე ამოცანა დგას. IT ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის, ვირტუალური რეალობის კონტექსტში, ქართული ენის და ქართული სახელმწიფოს წინაშე კიდევ ერთხელ დგას სწორედ ნიჭზე, უნარზე და შრომისმოყვარეობაზე დაფუძნებული გადანყვეტილების უზრუნველყოფა და სახელმწიფოს, ენის და ერის ერთდროულად გაძლიერება და გადარჩენა.

„ამიტომ უაღრესად მისასალმებელია, რომ თანამედროვე IT გადანყვეტები სწორედ ქართულ ენაზე ხორციელდება იმიტომ, რომ ეს პროცესი ისე ინტენსიურად შემოდის ჩვენს ყოფაში, რომ ის განაპირობებს კიდევაც ჩვენი აზროვნების ფორმას, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.“



პროფესიული განვითარება

მოდერნიზებული ტრენინგები გამოცდაზე დარებისტრიკული პრაქტიკოსი პედაგოგებისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბნობრივი და პროფესიული უნარების ტრენინგებზე რეგისტრაცია დაიწყო. ტრენინგები განკუთვნილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში პრაქტიკოს მასწავლებელთა განვითარების კვალიფიკაციის, რომლებიც რეგისტრირებული არიან მასწავლებლის კომპეტენციის და-მადასტურებულ გამოცდაზე.

სატრენინგო პროგრამა ხელს შეუწყობს პრაქტიკოსი პედაგოგების საბნობრივი ცოდნის მოპოვებას, საბნობრივი მეთოდების ასპექტების და ზოგადი პროფესიული უნარების განვითარებას. ტრენინგის მიმდინარეობისას მასწავლებლებს საშუალება ექნებათ: გაეცნონ მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის მოთხოვნებს, საბამო ტესტის სტრუქტურას; დაადგინონ საკუთარი კლინიკური და სუსტრი მხარეები, რათა უკეთ დაგეგმონ გამოცდებისთვის მზადების პროცესი და დახვეწონ ტესტის შევსების ტექნიკა.

ტრენინგის გავლა უფასოა საჯარო სკოლის მოქმედი მასწავლებლებისთვის, ასევე, იმ კერძო სკოლების პედაგოგებისთვის, რომლებიც ჩართული არიან პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და დარებისტრიკული გამოცდაზე.

რას სთავაზობს ცენტრი, კონკრეტული ტრენინგებით, პრაქტიკოს პედაგოგებს და რა სიახლეები იგეგმებიან სამომავლოდ ზოგადად ტრენინგების მიმართულებით, ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე დავით სვიდელიძე.



– ძირითადად, რაზე იქნება ორიენტირებული ტრენინგები და რა დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს?

– პირველ რიგში, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ტრენინგები ჩატარდება იმ პრაქტიკოსი პედაგოგებისათვის, რომლებიც ცხელში არიან ჩართულები და დარებისტრიკული არიან გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კომპეტენციის დამადასტურებელ, საბნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდაზე. მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგებზე დარებისტრიკული კერძო სკოლების იმ მასწავლებლებსაც შეუძლიათ, რომლებიც ცხელში არიან ჩართულები.

ეს იქნება არა საგნის აკადემიური ცოდნის მიმცემი ტრენინგები, არამედ, ხელს შეუწყობს საბნობრივი ცოდნის აქტივაციას და მოხილვებს, ძირითადად, ორიენტირებული იქნება ტესტის შევსების ტექნიკური მეთოდოლოგიის შესწავლაზე და იმაზე, რომ მონაწილე პედაგოგებმა, ტესტის შევსების დროს, აღმოაჩინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა უფრო ეფექტურად მოემზადონ კომპეტენციის და-მადასტურებელი გამოცდისთვის.

ტრენინგები 20 მიმართულებით გამოცხადდა – როგორც საბნობრივი, ისე პროფესიული უნარების მიმართულებებით. რეგისტრაციის პერიოდი ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

ტრენინგების ჩატარების ლოკაციები წინასწარვე განსაზღვრულია და, რეგისტრაციის დროს, მასწავლებლებს შეუძლია მიუთითოს, სად სურს ტრენინგის გავლა. მაქსიმალურად ვეცდებით, ტრენინგები რაიონულ დონეზე ჩავატაროთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეთა რაოდენობა არ იქნება იმდენი, რომ ჯგუფი შედგეს, რეგიონულ დონეზე ჩატარდება. ტრენინგების ჩატარების დღეებზე პარასკევი (საღამო) და შაბათ-კვირა ავირჩიეთ.

მოდულის მაქსიმალური ხანგრძლივობა 16 საკონტაქტო საათია – პარასკევს დადგენილია 4 საათი, ხოლო შაბათ-კვირას – 6-6 საათი. იქიდან გამომდინარე, რომ უკვე ვიცით ნაეკის ბაზაში დარებისტრიკული მასწავლებლების რაოდენობა, ტრენინგების ციკლი ისე გაინერა, რომ იენისის მეორე ნახევრისთვის სრულად უზრუნველყოთ მათი გადამზადება. წელს მასწავლებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა პროფესიული უნარების კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე დარებისტრიკულია.

– განსხვავდება თუ არა წლებიდან ტრენინგები წინა წლებისგან?

– ტრადიციულად, ეს ტრენინგები წინა წლებშიც ტარდებოდა, უბრალოდ, ახლა მოდულები გადაიხედა და, გარკვეულწილად განახლდა, მოდერნიზებულია, შესაბამისად, მასწავლებლებს სიახლეს ვთავაზობთ. რაც შეეხება საგნებს, ამ მხრივ სიახლე არ არის, ახალი საგანი ჯერჯერობით არ დამატებია.

– უფრო კონკრეტულად რას მოიცავს ტრენინგ-მოდულები?

– ტესტის სტრუქტურა, რაც გამოცდების ეროვნულ ცენტრს აქვს, რასაკვირველია ცნობილია, თუმცა უცნობია კითხვები, რომელიც საგამოცდო ტესტებშია შესული. სტრუქტურულიდან და საგნის შინაარსობრივი ცოდნიდან გამომდინარე, გვაქვს ტრენინგ-მიქსი – როგორ შემოხაზოს ტესტი ან რა კითხვაზე ვაჩერდეს მასწავლებელი. უფრო კონკრეტულად კი, ტრენინგ-მოდული მოიცავს საგნობრივ სტანდარტს + ტესტის შევსების ტექნიკური უნარები.

– თუ არის გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარება არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის?

– ამჯერად, ეს კონკრეტული საგნობრივი ტრენინგები არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის გათვალისწინებული არ არის. თუმცა, პედაგოგები, რომლებიც ქართულ

ენაზე მოისურვებენ, მაგალითად, ფიზიკის, მათემატიკის, გეოგრაფიის ან სხვა მიმართულებით ტრენინგის გავლას, რასაკვირველია, დარებისტრიკულია. ასევე, მათ შეუძლიათ დარებისტრიკული პროფესიული უნარების მიმართულებით და ქართულ ენაზე გაიარონ ტრენინგები (იმ მასწავლებლებმა, რომლებმაც წელს გადაწყვიტეს პროფესიულ უნარებში კომპეტენციის დადასტურება).

– აქვს თუ არა დარებისტრიკების უფლება პედაგოგობის მსურველს?

– როგორც გითხარით, ტრენინგები მოქმედი პრაქტიკოსი პედაგოგებისთვის ტარდება და ისიც მხოლოდ მათთვის, ვინც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ, კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე დარებისტრიკულია.

– რა სიახლეებს გეგმავს ცენტრი, სამომავლოდ, ტრენინგების მიმართულებით?

– სიახლეები ნამდვილად იგეგმება. პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ განათლების სამინისტროს და პირადად მინისტრის ინიციატივით, რომ სასწავლო პროცესის დროს ნაკლებად დარებისტრიკულია მასწავლებლები ტრენინგებით. მართლაც რთულია საგანგებო პროცესის დროს, პარალელურ რეჟიმში, ტრენინგებზე სიარული და ამაზე დროის ხარჯვა, რაც, თავისთავად, ნაკლებად ეფექტურიცაა. ამიტომ, მინისტრის ინიციატივით, ტრენინგები, ძირითადად, შაბათ-კვირას ჩატარდება და მაქსიმალურად გამოვიყენებთ არდადეგებს. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მოგვინია მოდულების გადახედვა, რადგან გვექონდა ისეთები, რომლებიც შაბათ-კვირის გარდა, გადაწყობილი იყო სამუშაო დღეებზეც. ახლა მოდულების მოდერნიზაციაზე ვმუშაობთ. ერთი მხრივ, მოგვინებს ტექნიკურად გადაწყობა შაბათ-კვირასა და არდადეგების პერიოდზე და, მეორე მხრივ, ცვლილება შეეხება იმასაც, რომ ყველა ტრენინგი მაქსიმალურად ორიენტირებული გავხადოთ პრაქტიკაზე, რომ მასწავლებელმა ტრენინგზე მიღებული ცოდნა მაქსიმალურად გამოიყენოს გაკვეთილზე. აქამდე სრულად ვერ გამოიყენებდით, რამდენად გამოიყენებდა მასწავლებელი შექმნილ ცოდნას გაკვეთილზე.

შინაარსობრივადაც ვგეგმავთ მოდულის ცვლილებას ისე, რომ ტრენინგზე მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მათი შესაბამისი გარემოში გამოყენება. ამის გარდა, ცენტრის მხრიდან, მნიშვნელოვანი ინიციატივით ხარისხის კომპონენტის გაძლიერება, რაზეც 2018 წლიდან უკვე მიმდინარეობს მუშაობა. ეს კომპონენტი არა მარტო ტრენინგებს მოიცავს, არამედ ცენტრის მიერ განხორციელებულ სხვა პროექტებსა და აქტივობებს, ამიტომაც ეს ძალიან კომპლექსური კომპონენტი იქნება. კონკრეტულად ტრენინგების კუთხით კი, შეფასდება არა მხოლოდ ის, რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს ტრენინგი და როგორია ჯგუფთან უკუკავშირი, არამედ ისიც, რამდენად ხარისხიანად უზრუნველყოფს პედაგოგი იქ მიღებული ცოდნის საკლასო ოთახში გადატანას.

ამ სიახლეების გარდა, ვინცებთ დისტანციური ტრენინგების დანერგვას საპილოტე რეჟიმში. დაახლოებით სამ სკოლაში განვახორციელებთ პილოტს. ჩვენი სურვილია, სამომავლოდ, ძირითადად, სწორედ დისტანციური ტრენინგების რეჟიმზე გადავიწყოთ. რასაკვირველია, ამ პროცესს ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდება, რადგან ადამიანური რესურსის გარდა, ტექნიკური რესურსის მომზადებასაც მოითხოვს. ამიტომ წელს რამდენიმე სკოლაში დავგეგმეთ პილოტის განხორციელება, მუშაობის პროცესში კი გამოიჩინება ის პრობლემები თუ საჭიროებები, რის წინაშეც დავდგებით, რომ ცენტრი ეტაპობრივად გადავიდეს დისტანციური ტრენინგების ჩატარებაზე. აქვე გეტყვით, რომ დისტანციური ტრენინგების ამოქმედება მილენიუმის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს, მუშადება მოდულები და ტრენინგების გეგმა. მას შემდეგ, რაც ცენტრი ამ პროგრამის სამართალმემკვიდრე გახდება, ჩვენი სურვილია, არათუ შევინარჩუნოთ ეს ნა-მონწყება, არამედ განავითაროთ და, საბოლოო ჯამში, მასშტაბურად დავწეროთ.

– რა არსებითი ცვლილებები შევა საგნობრივ მოდულებში?

– ის, რაც შინაარსობრივად კარგი იყო, თავისთავად დარჩება და გადაწყობა თანამედროვე მიდგომებზე. აქცენტი, მიძინებული ცოდნის აქტივაციის გარდა, მის პრაქტიკაში გამოყენებაზე გაკეთდება. მთავარია, მასწავლებელმა შეძლოს ცოდნა მოსწავლეებს გადასცეს შესაბამისი ტექნიკისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამიტომაც მოდერნიზებული მოდულები სწორედ ამ პრაქტიკული უნარების შექმნა-გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული. ვინაიდან მოდულების არსებითი ცვლილება და პრაქტიკაზე ორიენტირება იგეგმება, აუცილებელია ხარისხის კონტროლის მექანიზმის ამოქმედება. ამიტომ, იანვრიდან აქტიურად ვმუშაობთ ხარისხის კომპონენტზე, რაც, თავისთავად, მონიტორინგსაც გულისხმობს. თუმცა, ეს არ არის ხარისხის კონტროლის ერთადერთი მექანიზმი. პროცესი მოდულების შექმნით იწყება და გრძელდება ტრენინგის მომზადებით (ტრენინგთა სკოლის ფარგლებში, ვგეგმავთ დარჩენილი ტრენინგების გადამზადებას), შემდეგ ტრენინგები ჩატარდება და დასრულებულია მასწავლებლის გადამონმებით – რამდენად ხარისხიანად და სწორად მიაქვს მას საკლასო ოთახში ტრენინგებზე მიღებული ცოდნა. ეს შეიძლება შემონმდეს მონიტორინგით, კითხვარებით ან კვლევით, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის ხარისხის კონტროლის მექანიზმს. ვმუშაობთ ელექტრონულ პროგრამაზეც, რაც ასევე შეუწყობს ხელს ხარისხის მონიტორინგს. ამ პროგრამაში პედაგოგი ინდივიდუალურად დარებისტრიკულია, ატივრობს და დაეხმება მონიტორინგით, კითხვარებით ან კვლევით, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის ხარისხის კონტროლის მექანიზმს. ვმუშაობთ ელექტრონულ პროგრამაზეც, რაც ასევე შეუწყობს ხელს ხარისხის მონიტორინგს. ამ პროგრამაში პედაგოგი ინდივიდუალურად დარებისტრიკულია, ატივრობს და დაეხმება მონიტორინგით, კითხვარებით ან კვლევით, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის ხარისხის კონტროლის მექანიზმს. ვმუშაობთ ელექტრონულ პროგრამაზეც, რაც ასევე შეუწყობს ხელს ხარისხის მონიტორინგს. ამ პროგრამაში პედაგოგი ინდივიდუალურად დარებისტრიკულია, ატივრობს და დაეხმება მონიტორინგით, კითხვარებით ან კვლევით, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის ხარისხის კონტროლის მექანიზმს. ვმუშაობთ ელექტრონულ პროგრამაზეც, რაც ასევე შეუწყობს ხელს ხარისხის მონიტორინგს. ამ პროგრამაში პედაგოგი ინდივიდუალურად დარებისტრიკულია, ატივრობს და დაეხმება მონიტორინგით, კითხვარებით ან კვლევით, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის ხარისხის კონტროლის მექანიზმს. ვმუშაობთ ელექტრონულ პროგრამაზეც, რაც ასევე შეუწყობს ხელს ხარისხის მონიტორინგს. ამ პროგრამაში პედაგოგი ინდივიდუალურად დარებისტრიკულია, ატივრობს და დაეხმება მონიტორინგით, კითხვარებით ან კვლევით, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის ხარისხის კონტროლის მექანიზმს.

– არის თუ არა რეალურად ხელშესახები ტრენინგების შედეგები?

– ეს კითხვა ძალიან დიდი ხნის წინ დამებადა – ვატრენინგები, მაგრამ რა არის შედეგი? შედეგი, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად გვაქვს, მაგრამ, კიდევ უკეთესი გვინდა. სწორედ ამიტომ შეგვაქვს გარკვეული ცვლილებები ამ მიმართულებით. საგნობრივი ტრენინგები, რასაკვირველია, მიმდინარეობს, ახლა ვაცხადებთ ისტ-ის მიმართულებით. მინდა გითხერათ, რომ ამ მიმართულებით მთელი რიგი სიახლე გვაქვს – ძირითადად, ორიენტირებული ვართ იმაზე, რომ ისტ-ის საგანი ვაქციოთ გამჭოლ კომპეტენციად ნებისმიერი საგნის გაკვეთილზე. თავისთავად, კარგია, პედაგოგს „მაუსის“ ხმარება ვასწავლოთ და საბაზო მიმართულებით მასწავლებელთა 95 პროცენტი უკვე გადამზადებულია, მაგრამ ახლა, ძირითადი ორიენტირი გამჭოლ კომპეტენციაზე ავიღეთ. გვინდა, ნებისმიერი საგნის პედაგოგმა შეძლოს გაკვეთილის ისტ-ის გამოყენებით ჩატარება. ეს მართლაც პრომატევადი პროცესია, მაგრამ ვინცებთ მუშაობას ისტ-ის საგნობრივ მოდულებთან შეწყობაზე.

დაბოლოს გეტყვით, რომ მოდერნიზებული მოდულები ამოქმედდება და ზაფხული ტრენინგებით დატივრებული იქნება. ინტენსიურად გავგრძელებთ გასულ წელს დარებისტრიკული იმ პედაგოგების გადამზადებას, რომელთა დატივრებისთვისაც ვერ მოესწრა.

ლიტერატურის სწავლებისთვის

ლიტერატურული პარალელები

ღმერთი რომ ჩვენი ცხოვრების პოემას წერდეს, ალბათ, მასაც კი გაუჭირდებოდა სრულიად განსხვავებული ადამიანების, მათი ურთიერთობების აღწერისას ერთფეროვანი არ ყოფილიყო. ჩვენ, ადამიანს და ევას ნაშიერნი, ხომ ასე ძალიან ვგავართ ერთმანეთს ინსტინქტებით, მისწრაფებებით, გრძობებით, რწმენითა თუ ურწმუნობით. ადამიანები ერთმანეთს ვემსგავსებით! ჩვენთვის, კაცთათვის, მოცემული ქვეყნის „უთვალავფერობა“, ამ მიმართულებით, თითქოს საეჭვოა. კაცობრიობა გაჩენის დღიდან ცდილობდა, სამყარო აესახა თავის შემოქმედებაში და, როგორც კი დამწერლობა შექმნა, იქიდან მოყოლებული, ცდილობს სამყარო გრაფიკული ასო-ნიშნებით გადახატოს. ახალ სინამდვილეში, ამ ნრერუნევაში მთავარი შემოქმედი კი არა, ადამიანია. ადამიანი და მისი მიკროსამყარო, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავს სხვა სოფელში, ქალაქში, ქვეყანასა თუ კონტინენტზე მოზინადრე ადამიანების ცხოვრებას.

ამგვარი მსგავსება ამოვიკითხე ვაჟა-ფშაველას პოემებს – „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ და ისმაილ კადარეს რომანს – „გახლეჩილი აპრილი“ შორის. ალბანელი მწერლის ნაწარმოები ძალიან დაეხმარება ჩვენს მოსწავლეებს მსოფლიო ლიტერატურის ორბიტის სრულფასოვან წევრად აღიქვან მშობლიური ლიტერატურაც. მათთვის უფრო თანამედროვე გახდება ის პრობლემატიკა, რაც საუკუნის წინ ასახა თავის შემოქმედებაში ვაჟა-ფშაველამ.

ბევრ მასწავლებელს შეგვიწინავეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სახელმძღვანელოსთან სიამის ტყუპივით მიკრული არასაპროგრამო, მხატვრული ლიტერატურა. რა თქმა უნდა, გვახარებს ის ფაქტი, რომ ბავშვები წიგნებს კითხულობენ, თუმცა მათ მერხზე ხშირად შემიწინავეს წიგნი, „რომელიც არ ერევა მათს ცხოვრებაში. ასეთია წიგნი-ცარიელი ამბავი, წიგნი-ჭორები, წიგნი-დეტექტივი“ (ზურაბ კაკაბაძე, „არის მკითხველი“). არ ვფიქრობ, რომ მასწავლებელი პირდაპირ უნდა ერეოდეს მოსწავლის არჩევანში თუ რა წიგნი წაიკითხოს. ჩვენ, ალბათ, შეგვიძლია გა-

ვაცნოთ ესა თუ ის მწერალი და მერე არჩევანის უფლება თავად დაუტოვოთ. სკოლაშიც გვეყოფა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მწერლების ლიტერატურის გაკვეთილებზე „მოთვინიერება“, სჯობს რაღაც თვითონ, დამოუკიდებლად, დაიპყრონ და მოთვინიერების სიხარულიც თავად განიცადონ.

და მაინც, რა წიგნს ვურჩევდით ჩვენს მოსწავლეებს? მინდა ერთ კონკრეტულ წიგნზე ვისაუბრო, ეს გახლავთ მსოფლიოში სახელგანთქმული ალბანელი მწერლის, ისმაილ კადარეს რომანი „გახლეჩილი აპრილი“.

ისმაილ კადარე ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწერალია მე-20 საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში. ალბანელ მწერალს სახელი მისმა სადებიუტო, 1963 წელს გამოცემულმა, რომანმა „მკვდარი არმიის გენერალი“ მოუტანა, რომელიც 1999 წელს Le Monde-მა საუკუნის 100 ყველაზე მნიშვნელოვან წიგნს შორის დაასახელა.

კადარეს შემოქმედება მსოფლიოს 40-მდე ენაზეა თარგმნილი – „მკვდარი არმიის გენერალი“, „გახლეჩილი აპრილი“, „ალუდა“, „სამართლიანი ხედი“ და სხვა მსოფლიო ლიტერატურის მონაპოვრად ითვლება. 2005 წელს მწერალს Booker-ის პირველი საერთაშორისო ჯილდო მიენიჭა. მას აქტიურად განიხილავენ ნობელის პრემიის პოტენციურ ლაურეატად ლიტერატურის დარგში.

„გახლეჩილი აპრილის“ მთავარმა გმირმა, ალბანეთის მთიანეთის მკვიდრმა, 26 წლის ჯორჯ ბერიშამ, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ადათების კოდექსების, „კანუნის“, უმკაცრესი წესების თანახმად, მოკლული ძმის სისხლი უნდა აიღოს, გზაზე ჩაუსაფრდეს მკვლელს და თოფი ესროლოს. ამ წესს რომ აღასრულებს, 30 დღის გასწვრივ შემდეგ, თავად ის უნდა მოკლას მოსისხლე ოჯახის წევრმა და ასე დაუსრულდებოდ. ამ არქაულ ყოფაში შეიჭრება ალბანეთის მთებში ეტლით მოსეირნე ახალდაქორწინებული ცოლ-ქმარი, უფრო მართებულია თუ ვიტყვი, ის ზეგანი შეიჭრება მთელი თავისი სისხლიანი ისტორიით ახალდაქორწინებულთა ცხოვ-

რებაში და სრულიად გარდაქმნის მას.

მთა და ლიტერატურა ერთმანეთს დააძმობილა ისმაილ კადარემ იქ, ალბანეთში, და აქ – ვაჟამ, საქართველოში. იქ ბესიანმა (რომანის გმირმა) ულისესავით სიკვდილის სამყაროში შეაბიჯა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ულისეს, იქ მოსახვედრად, ქვემოთ მოუწია ჩასვლა, ჩვენ კი ზემოთ, წყეულ მთებში უნდა ავიდეთ, ეუბნება ცოლს. რატომაა წყეული ეს მთები, რატომ უსურვებენ აქ დაბადებულ ბავშვებს: „დედგრძელი იყოს და თოფისგან მოკვდესო!..“ მათ ეთაკილებოდათ ავადმყოფობით ან სიბერით სიკვდილი, რადგან მთიელის ერთადერთი მიზანი ცხოვრებაში ღირსების კაპიტალის დაგროვება იყო.

კანუნი – ალბანელ მთიელთა კონსტიტუციაა, საუკუნეების განმავლობაში ჩაკირულ-ჩაქვავებული ადათ-წესების ერთობლიობა (სტუმარ-მასპინძლობიდან დაწყებული, სისხლის აღებით დასრულებული). ეს სისტემა აგრძნობინებდა ზეგანზე მცხოვრებ ადამიანს, როგორ გადადიოდა წელი ღრჭიალით უხილავი ძრავის უნაგინი კბილანები ადათ-წესების ყოველდღიური ცხოვრების მშვიდობიანი ნაწილიდან სისხლიან ნაწილში. რაც გინდა აველოთ გვერდი ადათ-წესებისათვის, ბოლოს მაინც მიაღებოდნენ გარდაუვლად... მკითხველი სიკვდილზე მიჰყვება ჯორჯ ბერიშას სისხლით დაგეშილი სიკვდილს გვერდით და მომსწრე ხდება, თუ როგორ ხლეჩს თეთრ აპრილს „შუემუსრავი აზრალის“ მორიგი პროცესია.

ნანა თურქაძე

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

ისმაილ კადარე „გახლეჩილი აპრილი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017წ.

ინოვაციის კონკურსი

AIA GESS-ის მოსწავლეები NASA-ს კოსმოსურ სენტრში გაემგზავრებიან

მაკა ყიფიანი

12 აპრილს, „ფაბრიკა თბილისში“, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ინოვაციის კონკურსში გამარჯვებული სამი გუნდი გამოავლინა. პირველ ადგილზე გიმნაზიის AIA GESS, თორმეტ ფინალისტ გუნდს შორის გამარჯვებული, პროექტი „რობოტი ლაბორანტი“ გავიდა. მოსწავლეები – ანი თეთრაშვილი, თამარ მიქელაძე და ნინო ხუნდაძევილი აშშ-ში, NASA-ს კოსმოსური ცენტრში გაემგზავრებიან და NASA-ს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას. პირველ ადგილზე გასული გუნდის პროექტი „რობოტი ლაბორანტი“ სამი რობოტისგან შედგება, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეები შეძლებენ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ცდები დამოუკიდებლად, დისტანციურად ჩაატარონ. აღსანიშნავია, რომ მონაწილეობა ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

გამოვლინდა მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდებიც, რომლებსაც მათთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზები გადაეცათ.

მეორე ადგილი ვანის მე-2 საჯარო სკოლის (დირექტორი – თეონა ადგიმეილი) მეთორმეტეკლასელებმა დაიკავეს. მათი გამოგონება საქართველოში მეხანძრეების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მოსწავლეებმა შექმნეს მეხანძრის ტანსაცმელი, რომელიც არ იწვის და მეხანძრის დაცვა ოცნუთზე მეტი დროის განმავლობაში შეუძლია. მესამე ადგილი კი, გიმნაზია AIA GESS-ის ეკოლოგიურმა პროექტმა დაიკავა. გამოგონების მთავარი მიზანი ჰაერის დასუფთავებაა.

ლონისძიების ფარგლებში, VIII-XII კლასების მოსწავლეებმა ბათუმის, ვანის, ხონის, თელავის, სოფელ პატარძელის და თბილისის სკოლებიდან, სტუმრებისა და დამთვალიერებ-

ლების წინაშე, საკუთარი ინოვაციური გამოგონებები და პროექტები წარმოადგინეს.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მიზანია ახალგაზრდებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის ნახალისება. კონკურსი 2014 წლიდან ხორციელდება, სულ მონაწილეობა მიღებული აქვს 280 გუნდს და 1000-მდე მოსწავლეს. კონკურსს ახორციელებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

ლონისძიებას ესწრებოდნენ და მოსწავლეებსა და სტუმრებს მიმართეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, მაგდა მალრაძემ და საქართველოში აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ელიზაბეთ რუდიმ.

მიხეილ ჩხენკელი: „მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება დამეთვალიერებინა მოსწავლეების მიერ შექმნილი პროექტები და გაცნობოდი უაღრესად ნიჭიერ ახალგაზრდებს. თითოეულ წარმოდგენილ პროექტში ნათლად ჩანს, რომ მათი ნიჭი, შემოქმედებითი მიდგომა ზუსტ და საბუნებისმეტყველო დარგებში განუზაზღვრელია. ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და მომავალი წარმატებისთვის, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია.“

მაგდა მალრაძე: „სასიხარულოა, რომ გამოვლინდა კონკურსში გამარჯვებული გუნდი, მეტად საინტერესო პროექტით, რომელიც წელს, ზაფხულში, მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნასას კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის პროგრამაში. სასიხარულოა, რომ ათასწლე-



ულის ინოვაციის კონკურსი, ათასწლეულის ფონდის ორგანიზებით და აშშ-ს ფინანსური მხარდაჭერით, უკვე რამდენიმე წელია, წარმატებით ხორციელდება.

ელიზაბეთ რუდი: „ამერიკის შეერთებული შტატები, უკვე ოთხი წელია, მხარს უჭერს ათასწლეულის ინოვაციის კონკურსს. მოხარული ვართ, რომ წელსაც მოგვეცა შესაძლებლობა, მხარი დაგვეჭირა მეცნიერების, ტექნოლოგიების, მათემატიკის, ინჟინერიის განვითარებისთვის საქართველოში.“

ნინო ხუნდაძევილი, გიმნაზია AIA GESS-ის მე-11 კლასის მოსწავლე: „მოხარული ვარ, რომ ჩვენი პროექტით – „რობოტი ლაბორანტი“ გავიმარჯვეთ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში და მივემგზავრებთ NASA-ს პიუსტონის კოსმოსურ ცენტრში, ტეხასში, რათა მონაწილეობა მივიღოთ კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში. მიღწეულ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს სკოლასა და მენტორს, დავით სონლულაშვილს. რაც შეეხება „რობოტ ლაბორანტს“, პროექტის მიზანია დისტანციური სწავლების დანერგვა, რომ დაინტერესებულმა პირებმა, ნებისმიერ დროს, სახლიდან გაუსვლელად, შეძლონ რეალური ექსპერიმენტების ჩატარება. „რობოტი ლაბორანტი“ მსურველს საშუალებას აძლევს, მიიღოს ცოდნა კვლევის გზით, სრულად გაიაზროს მოვლენის ფიზიკური შინაარსი და ჩამოუყალიბდეს ექსპერიმენტატორის უნარები. ჩვენთვის ამ კონკურსში გამარჯვება დიდი მიღწევაა, ყოველთვის ვოცნებობდით NASA-ს კოსმოსურ ცენტრში მოხვედრაზე და დღემდე გვიჭირს გავიაზროთ, რომ მალე ჩვენი ოცნებები რეალობად იქცევა.“

აღსანიშნავია, რომ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში, 2015 და 2016 წლებში გამარჯვებულმა გუნდებმა – „მულტიკლიმატიზატორი“ (ახალციხე) და „სოლარი“ (თბილისი) – მონაწილეობა მიიღეს კონრადის ფონდის ინოვაციების საბიუროს, ნასას კენედის კოსმოსურ ცენტრში, აშშ-ში. 2017 წელს, სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას გიმნაზიის მერვეკლასელთა გუნდმა „Smart Kids“, პიუსტონის კოსმოსურ ცენტრში, NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა გაიარა.



პროფესიული განვითარება

პროფესიული უნარების გამოყენების მოსამზადებლად გთავაზობთ დამხმარე მასალას, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმატშია მომზადებული

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLİ SUALLAR TƏLİM VƏ INKIŞAF NƏZƏRIYYƏLƏRİ

132. Perkinsin Pandora sualları adlandırıldığı dörd əsas sual necədir?

- ✓ nəyi öyrənməyə dəyər? (nəyi öyrənmək daha vacibdir, biliyin əldə edilməsi ilə nədə daha yaxşı olurduq);
- ✓ bunun öyrənilməsi nə üçün çətindir? (səthi biliyin alınmasından necə boyun qaçıra bilərik? Problemlə olan nədir?);
- ✓ bunu hər şeydən yaxşı necə öyrənə bilərik? (çatdırılan materialın rolu və şagirdin rolu);
- ✓ təlim prosesi necə gedir? (şagird nəinki müəllimdən, eləcə də həmyaşdlarından aldığı qiymətləndirmə və reaksiyalarla (şərhlər, məsləhətlər) təlim prosesinə nə dərəcədə nəzarət edib yaxşılaşdırma bilər).

133. Perkinsə əsasən, şagirdlərin yaxşı öyrənmələri üçün nə lazımdır?

Perkins hesab edir ki, şagirdlərin yaxşı təhsil almaları üçün lazımdır:

- ✓ məlumatı açıq və aydın şəkildə çatdırmağı;
- ✓ onlara bu informasiyanı yaxşı dərk etmək imkanını verəcək çalışmaları vermək lazımdır;
- ✓ şərhlərlə qiymətləndirək;
- ✓ uşağın daxili və xarici motivasiyasının artırılmasına qayğı göstərək.

134. Perkins tədrisin hansı metodlarını təhlil edir? Perkins Adler tərəfindən təklif edilən tədrisin üç müxtəlif metodunu nəzərdən keçirir:

- ✓ didaktik tədris;
- ✓ məşq;
- ✓ Sokratsayağı tədris.

135. Brunerin fikrincə, anlayışlar arasında yanaşmaları müəyyən edən nədir?

Brunerin fikrincə, anlayışlar arasında yanaşmaları kodlaşdırma sistemi müəyyənləşdirir. Kodlaşdırma sisteminin vasitəsilə mövcud ümumiləşdirilmiş anlayışların iyerarxiyalı qaydaya salınması baş verir.

136. Bruner nəzəriyyəsinə əsasən, xarici aləmin təsnifatına imkan verən nədir?

Ətraf mühiti başa düşdükdə biz ümumi elementləri (müəyyənləşdirmə) ayırırıq, müəyyənləşdirmənin əsasında qaydaları işləyib hazırlayırıq ki, bunlar da xarici aləmin təsnifatı imkanını verirlər.

137. Bruner “kateqoriya” terminində nəyi nəzərə alır? Bruner “anlayış” əvəzinə “kateqoriya” terminini daxil edir və bundan da hadisələrin və ya obyektlərin qohum qrupların təsviri zamanı istifadə edir. Bu mülahizə ilə kateqoriyanı anlayış (konsept) və qavrama obyekti (persept) kimi başa düşə bilərik. Bruner eləcə də kateqoriyanı obyektlərin bir sinfi aidiyyət qaydası da adlanır.

138. Kəşflə tədris yanaşmasının üstünlüyü nədir? Kəşflə tədris məlumatın ötürülməsi və yadda saxlanılmasını asanlaşdırır, problemin həlli bacarığını inkişaf etdirir və motivasiyanı artırır.

139. Brunerə əsasən, hansı daha effektivdir, şagird tərəfindən yaradılmış kodlaşdırma sistemi və ya müəllim tərəfindən yaradılmış?

Yaxşı olardı ki, kodlaşdırma sistemini şagirdin özü yaratsın, nəinki müəllim tərəfindən başa çatdırılmış şəkildə onu qəbul etsin. Kəşflə təlim öyrətmənin elə bir formasıdır ki, bu zaman şagirdlərə material başa çatdırılmamış şəkildə verilir və onlardan bu materialın təşkil edilməsi tələb olunur. Bu, şagirdləri məcbur edir ki, bu materialın elementləri arasında olan qarşılıqlı əlaqələri tapsınlar.

140. Brunerin nəzəriyyəsinə “kəşf” necə təhlil edilir? Brunerin nəzəriyyəsinə kəşf kateqoriyanın formalaşdırılması və ya daha çox kodlaşdırma sisteminin formalaşdırılmasıdır və bu da bir çox hallarda obyektlər və ya hadisələr arasında yanaşmaların (oxşar və fərqli) terminlərində əks olunur, ya da şagird qarşısı alınmaz problem qarşısında qalması.

141. Kəşflə tədris yanaşmasının üstünlüyü nədən

mənişvənləşdirən şəxsiyyətlər arasında sənətlərin və

132. Rogorini Perekinsin otobioqrafik kitabı, Rogorini Perekinsin Perekinsin kitabıdır?

- ✓ rəssamın sənətlərinə? (rəssamın sənətlərinə mənişvənləşdirən, cəmiyyətin şəxsiyyətləri üçün tələblər);
- ✓ rəssamın rəssamı kimi sənətlərinə? (Rogorini Perekinsin otobioqrafik kitabı, Rogorini Perekinsin otobioqrafik kitabıdır);
- ✓ Rogorini Perekinsin sənətlərinə Perekinsin? (Rogorini Perekinsin otobioqrafik kitabı, Rogorini Perekinsin otobioqrafik kitabıdır);
- ✓ Rogorini Perekinsin sənətlərinə Perekinsin? (Rogorini Perekinsin otobioqrafik kitabı, Rogorini Perekinsin otobioqrafik kitabıdır);

133. Perekinsin kitabı, Rogorini Perekinsin kitabıdır?

- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;

134. Sənətlərin Rogorini Perekinsin kitabıdır?

- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;

135. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

136. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

137. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

138. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

139. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

140. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

141. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

Yaxşı olardı ki, kodlaşdırma sistemini şagird tərəfindən yaradılmış kodlaşdırma sistemi və ya müəllim tərəfindən yaradılmış

132. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;

133. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;

134. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;
- ✓ Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır;

135. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

136. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

137. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

138. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

139. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

140. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

141. Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır?

Rogorini Perekinsin kitabıdır, Rogorini Perekinsin kitabıdır.

ლიტერატურის სწავლებისთვის

ნუ შეგვაშინებს ნანარმოებში გამოყენებული ვულგარული პასნავლმით მოსწავლეებს ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“

„ნუ ითამაშებ, შვილო, მომბანას, ნუ ითამაშებ, ცუდი თამაშია.“
იოსებ ნონეშვილი

IX კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში (ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი...) შეტანილია ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“. ნანარმოებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მშობლებისა და მოსწავლეების ნაწილი შეშფოთებულია იმ ვულგარული სიტყვებით, რომლებიც მოთხრობაში გვხვდება. გაჩნდა კითხვები: რატომ უნდა ისწავლონ მოზარდებმა ასეთი ნანარმოები? რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა ამ ნანარმოებით?

გადავწყვიტე, ჩემი წერილით ვუპასუხო მათ კითხვებს.

* * *

ილია ერენბურგი წერდა: „ომი ხალხისათვის – ეს არის ცრემლი, სისხლი, ესაა ქვრივები და უპატრონოები, ეს დაფანტული ბუდეები, დაღუპული ახალგაზრდობა და დამცირებული სიბერე“. ზუსტად ეს სიტყვებია ამბად გადმოცემული ნუგზარ შატაიძის მოთხრობაში. პატარა მოთხრობელი აფხაზეთის ომის მსხვერპლია. ოჯახში სამნი იყვნენ – დედა, მამა და შვილი. მშობლები შრომობდნენ, შემდეგ ერთად ისვენებდნენ... „ზაფხულობით თითქმის მთელ დღეს კელასურში, ზღვის პირას ვატარებთ – ვბანაობთ, მზეს ვეფიცებით“, „ზამთარში ქალაქში ვსეირნობთ, შევივარტ კინოში, მალაზიებში, მერე ზღვისპირა რესტორანში“, „ჩემი მშობლები წყნარად საუბრობენ“. ომმა ოჯახური იდლია დაარღვია, მამის დაჟინებული მოთხოვნით დედა და შვილი თბილისში უნდა წამოსულიყვნენ. ოჯახი „გაიყო“, მამა დარჩა, ავადმყოფობის გამო მგზავრობას ვერ გაუძლებდა. ერთი მთლიანი ორად დაიშალა (სწორედ ისე, როგორც აფხაზეთი და საქართველო). მოზარდი იხსენებს, რა გაჭირვებით გადმოიარეს უღელტეხილი. „ხალხი გზადაგზა ეცემოდა და იხოცებოდა, განსაკუთრებით მოხუცები და ძუძუთა ბავშვები“. დედა და შვილი ფიზიკურად გადარჩნენ – „ჩვენ გადავრჩით და ახლა აქა ვართ, ოღონდ ცალ-ცალკე, ის თავისთვის, მე – ჩემთვის“.

ბიჭმა ბავშვობა სოხუმში დატოვა, სოხუმის მზის ქვეშ. დედამაც სახე იცვალა. ომმა, ბუდის დანგრევამ სოციალურად მოკლა მასში დედა. ვერ შეძლო, ოთარაანთ ქვრივის შინაგანი სიმტკიცე გამოეჩინა და გაეგრძელებინა ქალის საპასუხისმგებლო მისია – დედობა. თვალის ფერიც კი შეეცვალა. დაიწყო სმა, მრუშობა, შვილის ცემა – „მცემა სკამის ფეხით... ნარბი გამისკდა და მარჯვენა ნეკა თითი მომტყდა“. აფხაზეთში ცხოვრებისას მდინარეზეც არ უშვებდა, შიშობდა, „ალკას მთიდან“ არ გადმოხტესო. მკითხველი ხვდება, როგორ დაკარგა ქეთიმ დედობრივი სიფრთხილე, ბიჭიც გრძობდა ამას, რასაკვირველია, მოტყეხილი თითიც სტკიოდა, მაგრამ შინიდან ამის გამო არ გაქცეულა, გაიქცა მამინ, როცა საკუთარი თვალის ნახა, როგორ დაკარგა თავისი მშობლების „საქორწინო ბეჭედი“ ძალა, სინამდვილე და ერთგულება.

ბიჭი სახლიდან გაიქცა. გაიქცა და თან წაიღო თავისი მშობლების საქორწინო ბეჭედი (იქნებ გადაარჩინოს!) და 30 მანეთი (მისი ბავშვობაც ხომ 30 ვერცხლად გაყიდა ბედისწერამ!), წავი-

და წარსულისაკენ (მამა უნდა ნახოს!). ანმყოში მხოლოდ გულგრილობა და სისასტიკე იყო – მონყალებს თხოულობდა, პოლიციელები სცემდნენ, ან მუყაოს ყუთში ეძინა, ან სარდაფში, ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანების ემინოდა. ანმყოში წყალობის გამო ლეზბიანობა და მისი სიყვარული, ადამიანების შიშმა კი საკუთარი სახელის დამალვა, თითქოს ამ გზით უფრო ხელსაყრელია საკუთარ ბავშვობას („რა გქვია? – ვაია, – ვიცრუე უნებურად“).

ცხოვრებისაგან განზოგადებულს მადლიერების გრძობა არ დაუკარგავს. გულგრილ გარემოში მანაც ხედავდა სიბნელს, ყურადღებას, ერთგულად მზრუნველობას და უსაზღვრო ბედნიერებით ევსებოდა გული. „დედა მანა ალერსიანად მიყურებდა და უცებ ვხვდებოდი, დედაჩემისნაირი თვალები არა აქვს?“/ „ვწუკ, მოი ვწუკ!“ – მოისმინა დედაბრისაგან და ბიჭმა იგრძნო, „საკუთარი ბებიასავით მიყვარდა, გული ამომივდა, ყელში ხორკლიანი გორგალი მომანვა და კინაღამ ღრიალი მოვრთე“.

ბიჭი ჯერ სახლიდან გაიქცა, მერე ნუპაკასთან ერთად რეალისტურად გარბოდა (ყნოსავდა ნებისმიერ ადგილას აფრიკაში), ბოლოს კი გადაწყვიტა, ირეალურ სამყაროსაც მოშორებოდა, წარსულს დაბრუნებოდა, მამასთან წასულიყო... პატარაა, მაგრამ საკუთარ გამბედაობას აცნობიერებს – „რა შიში, რის შიში, პირიქით, მიხარია, მე ხომ იმას ვაკეთებ, რაც სხვამ ვერაფერს შეძლო, ვერ გაბედა, მე კი გადავწყვიტე!“ (ეს ხომ მამამ ვერ შეძლო, შვილის მონატრებამ ვერ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი!).

ერთი ღამე აფხაზეთის ოჯახში მოხვდა. დაურს (მასპინძელს), „ქართველისაგან ვერ ვაარჩევდი“, ბიჭს უკვირდა, აფხაზეთი არიან და ქართული საიდან იცინა... „როგორ საიდან, ქართველი დედები გვყავდა“ – სწორედ ამ პასუხში მოიზარება ქართველთა და აფხაზთა განუყოფლობა. ბავშვი დააპურეს, მოუარეს, ტყვარჩელში მანქანით გაუშვეს. პატარა მოზარდებს რა არ ჰქონდა ნახატი, მაგრამ ომის შემდეგ აფხაზეთისა და ქართველების ურთიერთობა არა. ზიტყმით და დაურთან სტუმრობამ ახალი საფიქრალი გაუჩინა – ვის სჭირდებოდა ომი? აფხაზეთმა ქართველი ბავშვი ხომ ღამაზად ისტუმრეს.

ნუგზარ შატაიძე ემოციურად წარმოუდგენს მკითხველს, როგორ მიუახლოვდა მოზარდი ტყვარჩელში თავის სახლს. „გულაჩქარებული ზემოთ შევუყვი“, „მთელ კორპუსს ერთი ფანჯარაც აღარ შერჩენია“, „ჩვენს ბინას კარი აღარა აქვს“, „გახვეებული ვდგავარ, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე“. ბიჭი პატარა გმირია, შეათვა „ნასახლარში“, ნაგავსა და სიცარიელეში თავისი ნაჭრის დათუნია – გერასიმე იპოვა. მკლავმოგლეველი, გათელილი, მნიშვნელობადაკარგული თავისი ბავშვობა. მამაც აღარ დახვდა, ცოლი შეურთავს, მათი მუშობელი ლიდა, ორი გოგო ჰყოლიათ უკვე... კიდევ ერთი ტკივილი იგემა ბიჭმა, „სანამ არ ჩავახველე, ხმა ვერ ამოვიღე“. თურმე, აღარც მამას სჭირდება ის საქორწინო ბეჭედი, ვერც მამა მოფრთხილებია მას. აქ უკვე ზედმეტი, მის გულს ახალი ნაწიბური დაემატა, ტკივილებით სავსე ცხოვრებას – კიდევ ერთი ტკივილი. ამიტომაც, ისევე თბილისში უნდა დაბრუნდეს, უკან წამოიღოს საქორწინო ბეჭედი და თავისი ბავშვობის აჩრდილი – დათუნია გერასიმე.

აფხაზეთი ბიჭის წარსულია, თბილისი – აწმყო. აფხაზეთში სიცარიელე დახვდა, თბილისში სისასტიკე დახვდება.

არჩევანს ისევ სისასტიკეზე აკეთებს, როგორც ჩანს, ეს უფრო ადვილი „სატარებელია“ მისთვის. თუმცა, თუ მხრები ეტკინება, ისევ იმეგზაურებს აფრიკაში და გაექცევა სისასტიკეს. ნუპაკაც ყნოსავდა ნებისმიერ დედ-მამას ელპარაკებოდა, ბიჭი კი მშობლებთან კი არა, აფრიკაში მცხოვრებ სპილოებთან ერთადაა. „მოვიდნენ სპილოები“, აფრიკა სითბოა, მას ხომ ყველაზე მეტად სითბო ენატრებოდა („ზოგჯერ ახლოს ჩავიგებენ, ამ დროს გრძობ მათ სუნს, სითბოს...“). სამწუხაროა, რომ ამ მავნე ჩვევით გაურბის ადამიანებს და ცხოველთა სამყაროში მოგზაურობს. რა უნდა იყოს იმაზე მეტად საშინელი, მოზარდი სპილოებთან და ანტილოპებთან უფრო უსაფრთხოდ გრძობდეს თავს, ვიდრე ადამიანებთან.

მოთხრობა მკითხველს დააფიქრებს ცხოვრებისაგან დაღლილ ბიჭზე, ადამიანთა გულგრილობაზე, ომის შედეგებზე. ეს თანამედროვე რეალიზმი. ვინ მოთვლის, რამდენი ოჯახი დანაგრიდა ომმა, რამდენ ბავშვს აურიდა ომისაგან, რამდენი ცხოვრებაა ამ ერთ მხატვრულ სახეში გაერთიანებული, რამდენი ადამიანის ტკივილზე გვიყვება პატარა მოთხრობელი.

ტექსტში ვხვდებით რამდენიმე ვულგარულ სიტყვას – „კაიფობ“, „აცეტონზე შეჯდა“, „ახმაზებმა რომ დაგიჭირონ და გაგყომინ“... ეს მხატვრული გამომსახველობითი საშუალებაა, რომელსაც მწერალი მიზნობრივად იყენებს, ამბავს ბუნებრიობას მატებს. ბიჭი ქუჩაში ცხოვრობს, მიუღებელი ლექსიკა და არასასურველი ცხოვრების სტილიც ქუჩამ მოუტანა

* * *

14-15 წლის მოსწავლეები უკვე იწყებენ ფიქრს ადამიანთა ცხოვრებაზე. მე-8 კლასში ისწავლეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“. ლირიკულ გმირთან ერთად ეძებდნენ პასუხს რიტორიკულ შეკითხვაზე – „მანც რა არის ჩვენი ყოფა, ნუთისოფელი?“. ნუთისოფლის ამაოებაზე უკვე ნაფიქრი აქვთ, ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ კარგად მიახვედრებს მოზარდებს, ვინ ხდის ნუთისოფელს ამაოს. როგორ ამძიმებენ ადამიანები ცხოვრებას ომებით, მკვლელობებით, ღალატით, გულგრილობითა და უპასუხისმგებლობით.

* * *

მოსწავლეებმა ეს ფიქრიანი ნანარმოები მასწავლებლის დახმარებით უნდა ისწავლონ, ამოიკითხონ სათქმელი, რომელიც სტრიქონებს მიღმა იმალება; იმსჯელონ ყველა იმ ნიშნულსა და საკითხზე, ნანარმოებში რომ არის წარმოდგენილი; გამართონ დისკუსია, განსაზღვრონ მწერლის სტილი. ერთად უყურონ ფილმს „გალმა ნაპირი“ (რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი, სცენარის ავტორი – ნუგზარ შატაიძე), ნანარმოები და ფილმი ერთმანეთს დაუკავშირონ. მამინ მოსწავლეები სწორად შეაფასებენ მოცემული ნანარმოების ლირიკულობას და შემფოთებულ მშობლებს თავად აუხსნიან, რატომ უნდა ისწავლებოდეს ეს IX კლასში.

იქნებ, ამ ნანარმოების შესწავლამ ადამიანებს ბავშვობიდანვე შეაძლოს ომი... არ ითამაშონ ომობანა, დარწმუნდნენ, რომ „ომობანა ცუდი თამაშია“.

ქეთევან ილურიძე
არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბონის“ ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. სიბრძნის ენციკლოპედია, 2015 წელი;
2. ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასი, ავტორ-შემდგენლები: ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი... „სწავლანი“ 2012გ.;
3. ნ. შატაიძე, „გალმა ნაპირი“, თბ. 2010წ.

ადამიანები თეთრ ქალაქში მხოლოდ შავ წერტილს ვხედავთ და არა – მის გარშემო სპეციალური სივრცის...

ბოლო დროს სოციალურ ქსელებსა თუ ინტერნეტსივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა ნუგზარ შატაიძის ნანარმოების („მოგზაურობა აფრიკაში“) გარშემო, რომელიც სკოლის სასწავლო პროგრამაში შედის, იძულებული გაგვხადა წამოგვეყარა საკითხი, რომელზე საუბარიც საჭიროდ ჩათვალეთ, რათა გვეცადა, თუნდაც ამ მცირე წერილით, აღგვემართა სარკე იმ ადამიანებისთვის, რომელთაც გარკვეულ საკითხებზე მცდარი შეხედულება აქვთ და დაგვენახებინა მათთვის სიმართლე.

ჩვენ, ადამიანები, თეთრ ქალაქში მხოლოდ შავ წერტილს ვხედავთ და არა – მის გარშემო სპეციალური სივრცის...

რას აკეთებთ? 12-13 წლის ბავშვებს როგორ უხელთ თვალს? ამ ასაკის ბავშვებს, რომლებმაც უკვე უნდა დაიწყონ კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევა, როგორ აჩვენებთ მწარე რეალობას? როგორ ამზადებთ მომავლისთვის? არა, ისინი უნდა გამოვკვლით უფრო მეტი სამყაროში, მოვაშოროთ რეალობას და ავუხვიოთ თვალები.

მგონი, საჭიროა აღვნიშნო, რომ ეს ირონიით ვთქვი, თორემ, მეშინია, რომ ამასაც დაიჯერებთ და დამეთანხმებით. იტყვიან, ჭკვიანი, საღად მოაზროვნე ბავშვია და მეც ამაყად მივცემ ინტერვიუს სხვადასხვა არხსა თუ ტელევიზიას. ამაყად გამოვალ საზოგადოების წინაშე უფროსების ნათქვამი დაზუსტიებული ფრაზებით და ამ სათქმელს ადვილად მოვახვევთ თავს დაბრმავებულ ბრბოს.

ამაზრუნია! საკმარისია ყოველი იმ ადამიანისთვის თავ-

ზე ხელის გადასმა და შექება, რომელიც ხალხის წინაშე წარდგება და ხმამაღლა ისაუბრებს. საუბარიც არის და საუბარიც, არ უნდა ვუსმინოთ, რას ლაყობენ? თუ ისე გვაბრმავებს ხმამაღლა საუბარი, რომ შინაარსს აღარც კი ვუკვირდებით. თუ ვუკვირდებით და ვაანალიზებთ, მაშინ რაღაც ვეთანხმებით ლოგიკის მოკლებულ საუბარს?! როდის უნდა დასრულდეს ყოველი მოყვარულის დაფასება ამ ქვეყანაში?!

„მე უარს ვამბობ ამ გაკვეთილის სწავლაზე და მიჩვენებ ნარკოლოგიურ გაკვეთილებს. მინდა მოვუწოდო განათლების სამინისტროს ის, რომ მოზარდებში, თორმეტი-ცამეტი წლის ბავშვებში როდესაც შემოაქვთ ესეთი გაკვეთილები, არ არის გამორიცხული, რომ ბევრი გააკეთებს ამას და მერე კიდევ უკვირთ, რატომ ხდება დაპირისპირება სკოლის მოსწავლეებს შორის – დაჭრები და ა.შ. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, სკოლაში ისწავლებოდეს უფრო მეტი საქართველოს ისტორია და არა აცეტონის შესუნთქვა და სხვა ნარკოლოგიური რაღაცები... ახალ თაობას ნამდვილად არ სჭირდება ამაზე ლაპარაკი, მით უმეტეს, ნიგნში, იმიტომ, რომ თითქმის ყველა ბავშვი მიდრეკილია „ძველ ბიჭობაზე“, დაჭრებზე და ა.შ. ნიგნში ამის სწავლით კი უარესს აკეთებენ და, მგონი, ამას არ უნდა ამბობდეს ჩემხელა, თორმეტი წლის ბავშვი და თქვენთვისაც ნათელი უნდა ყოფილიყო აქამდე“. – ამბობს მარიამ ყრუაშვილი, გოგონა, რომელიც საჯაროდ გამოდის და განაცხადებს, რომ ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა

აფრიკაში“ „ნარკოლოგიური“ ნანარმოებია. დიას, „ნარკოლოგიური“ და ეს ნანარმოები მოზარდებს უბიძგებს, რომ შეიყნოსონ ნებო და „იმეგზაურონ აფრიკაში“. ეს გოგონა თეთრ ქალაქში ხედავს მხოლოდ და მხოლოდ შავ წერტილს, როდესაც ამ ნანარმოებში ჩანს XX საუკუნის 90-იანი წლები – საქართველოსთვის უმძიმესი პერიოდი. როცა ქვეყანა ქვეყანას აღარ ჰგავს. მოთხრობაში „მოგზაურობა აფრიკაში“, რომლის მიხედვითაც გიორგი ოვაშვილმა გადაიღო ცნობილი ფილმი „გალმა ნაპირი“, სწორედ ეს მწარე რეალიზება ასახული. დახატულია ცხოვრება ერთ-ერთი მოზარდისა, რომელიც სხვების მსგავსად ქუჩურ ცხოვრებით ცხოვრობს. ავტორს შეეძლო ეს ყველაფერი ზრდასრული, ჩამოყალიბებული პიროვნების სახელით ეთქვა, თუმცა მან არჩია გადმოეცა ბავშვის თვალით დანახული მწარე რეალიზება. ერთ-ერთ მომენტში მთავარი პერსონაჟი მამას ეძებს და ცდილობს, სახლში დააბრუნოს. ხედავთ, რომ ოჯახური კონფლიქტის მოგვარებას ისევ და ისევ ოჯახის ყველაზე პატარა წევრი ცდილობს. ტექსტში უხვად გვხვდება ბარბაროზებიც, ჟარგონებიც, თუმცა სწორედ ამით აღვიქვამთ უფრო ზუსტად იმ დროს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოთხრობა არის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ასახვა და ამავდროულად, ბევრ რამეზე დაფიქრებისაკენ სურვილის აღმძვრელიც.

თუმცა, მარიამმა სწორედ ამ გზით უნდა დაინახოს, რომ ზუსტად ეს არის ცხოვრება – დანაყრებული და თბილად ჩაცმული ბავშვების გვერდით მუყაოს ყუთში მოქცეული მშვიდი ბავშვები, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში და მხოლოდ ასე „მოგზაურობენ“ აფრიკაში. უნდა გაიგოს, როგორ არ უნდა დაილუპოს თავი და შეზიზღდეს, საერთოდ, ის, რაც საშინელია. თანაგრძნობა უნდა ისწავლოს ზუსტად ასე, ზუსტად ამდენად მსაფრთხილად, ზუსტად ასე უნდა წარმოიდგინოს რა არის ომი, როგორმე უნდა იგრძნოს.

ძალიან საყურადღებოდ მოგვეჩვენა ამ საკითხზე ჩვენი

ლიტერატურის სწავლებისთვის

თანატოლის აზრი, რომელსაც უცვლელად შემოვთავაზებთ:
„არ ვიცი, აქამდე ამდენად თუ გამჩენია იმის სურვილი, რომ ჩემს ქვეყანასთან, როგორც ერთ კაცთან, ჩვენს, ყველას გამზრდელთან, დავემდგარე და გულგახიზნულს მელაპარაკა. ახლა მინდა და თან ისე ძალიან, ერთბაშად ვგრძნობ, როგორ მანვება გულის კედლებზე ყველა ამბავი, რომელიც ვისმინე, დავიგროვე და ვერაფრით გადავხარბე. დავუჯდებოდი და ვეტყვიდი, რომ სამინელ ბნელში ვართ და რომ გული მწყდება, იმდენად ბევრი რამე გვაქვს მის ადამიანებს სისწავლი; რომ გული მწყდება მე-9 კლასელ ნატალიებს მასწავლებლები რომ არ უხსნიან, რას სწავლობენ და რას ასწავლიან; რომ არც მე-9 კლასელი ნატალიების დებისთვის უსწავლებიათ, როგორც ჩანს, ეს; რომ საპროტესტო აქციების გამართვას ნუგზარ შატაიძის „მოგ ზაურობა აფრიკაში“ გამო იმ სკოლების წინ აპირებენ, რომლებშიც მოსწავლეები გულგრილად კლავენ ერთმანეთს, რადგან თავის დროზე არავინ აუხსნა ან არ ისწავლეს, როგორ ეგრძნოთ და როგორ ტკენოდით, როგორ გაბრაზებულყვენ და როგორ თანაგრძნობთ, როგორ მიმხედარიყვენ და როგორ გაესივრებოდნენ, რას წერდა მათთვის შატაიძე. ამ გოგოს მონდომებით, ნეტავ, ამ ნაწარმოებთან ან მე-9 კლასელებისთვის ვითომ უცხო სიტყვებთან ბრძოლა კი არა, საკუთარ უფროსებსა და გულგრილობასთან ბრძოლა შეგვეძლოს ყველას... მაგრამ რას ვიზამ, ვიცი, რომ ვერსადაც ვერ ჩამოვხდებით დღეს მე და ჩემი ქვეყანა, როგორც ერთი კაცი, რადგან ის ახლა ისე შორი ჩანს, როგორც არასდროს; ისე შორი, როგორც სამართალი და გაკვეთილის მოსაყვლად დაფასთან გაძახებული მკვლელები ერთმანეთისგან. ვერ გავაპართოლეით, რასაც, ვფიქრობ, ეგ ჩვენი ერთიკაცი დაგვიბარებდა კარგა ხნის წინათ. ვერ გავაპართოლეით და ვართ ახლა ისე აღშფოთებულ-ანერვიულებულები, როგორც ეს ლამაზი გოგო, რომლის მე-9 კლასელმა დამაც ნაიკითხა, როგორ ენოდნენ უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები ნებოს, მაგრამ იმას კი ვერ მიხვდა – რატომ...“
მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, მარიამის ვიდეოს აქვს ათასობით მოწონება და კომენტარი, ამ კომენტარების უმეტესობა მარიამს აქვს, როგორც დიდ მოაზროვნეს, რომელიც „ბევრად უკეთ იაზრებს ნაკითხულს, ვიდრე სამინისტროს თანამშრომლები“. ამბობენ, რომ არსებობენ ნაწარმოების მკითხველები და გადამკითხველები. ნებისმიერი ნაწარმოების დაყვანა შეიძლება მარაზმამდე კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით. ადამიანები, რომლებიც მარიამის მსგავსად აფასებენ ამ მოთხრობას, კონკრეტული ფრაზებითა და ჟარგონებით,

სწორედ გადამკითხველთა კატეგორიას მიეკუთვნებიან. ფილმს ვერ შეაფასებ მხოლოდ ერთი ამოჭრილი კადრით, რომელშიც არც მთავარი გმირი ჩანს, არც ის მიზანი, რომლისთვისაც ფილმი გადაიღეს და არც გარშემო არსებული ფონი. როდესაც ერთი კონკრეტული გოგონა ნაწარმოების აზრს ვერ იგებს იმის გამო, რომ ექცევა უფროსების ზეგავლენის ქვეშ, ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა, როცა საზოგადოების დიდი ნაწილი მის აზრს იზიარებს, ეს უკვე ყურადსაღებია. ნუ დავადასწავლებთ მხოლოდ მარიამს, რომელიც მოექცა სხვისი აზრის გავლენის ქვეშ, დაუშვათ ისიც, რომ პედაგოგმა ნაწარმოების მთავარი იდეა მოსწავლეებამდე მცდარად მიიტანა და წარმოვიდგინოთ, რამდენი ათეული ბავშვისთვის აუხსნია მას ეს ნაწარმოები მსგავსად. სწორედ ამის შედეგია დღევანდელი საზოგადოების იმ ნაწილის არსებობა, რომელიც მარიამის აზრს იზიარებს და ბნელ ოთახში ეძებს შავ კატას, როდესაც ეს კატა იქ არც არის.
რომ გავიხსენოთ სხვა ნაწარმოებები, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზე“ და ვიფიქროთ მარიამის მსგავსად, გამოვიტანთ დასკვნას, რომ ეს ნაწარმოები მკვლევრობას უნებს პროპაგანდას. ან, როგორც მწერალი ტორესა მოსი ამბობს, არ ნავეიკითხოთ ართურ კონან დოლის „შერლოკ ჰოლმის თავგადასავალი“, რომელიც გვიბიძგებს თამბაქოს მოხმარებისკენ; არ ნაიკითხოთ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, იქ ხომ შეყვარებულების საბოლოო ხვედრი თვითმკვლელობაა; არც იაკობ ცურტაველის „ნამებამ წმიდისა შუშანიკის დედოფლისაჲ“ უნდა ვისწავლოთ, სადაც ვკითხულობთ: „მამინ იყო უფეროსა გინებად ვარსქენ და ფერკითა თვსითა დასთრგუნჯდა მას, და აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუჭდა. და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მკვიცი მძვნვარჱ, ყიოდა და იზახდა, ვითაცა ცოფი“. ამიტომ უნდა ამოვგლიჯოთ მხოლოდ ეს რამდენიმე ფრაზა ნაწარმოებიდან და ვთქვათ, რომ იგი გვასწავლის, როგორ უნდა ვიძალადოთ ქალზე, თუ სასურველ მიზანს სხვა საშუალებით ვერ მივალენვთ? საკმარისად ძლიერი არგუმენტი არ არის? „ვეფხისტყაოსანი“ გავიხსენოთ მაშინ, ყოველი ქართველისთვის საამაყო პოემა, რომელიც წერია:
„როსკიპო, ბოზო დიაცო საქმრო რად მოაკლევინე?
ანუ სისხლისად მისისა ჩემი რად მოაზღვევინე?“
ხომ შეიძლება, ამის ნაკითხვის შემდეგაც გამოვიტანოთ მარიამისეული დასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გვასწავლის ბილწისტყვაობას და გვიბიძგებს მკვლელობისკენ.

მშობლებო, არ აჩვენოთ თქვენს შვილებს „ნუნა და ნრუნუნა“ ეს მულტფილმი სმას უნებს პროპაგანდას, არ ნაუკითხოთ თქვენს ბავშვებს „ნითელქუდა“, ამ ზღაპარში ნაჩვენებია თუ როგორ უჭრიან მგელს მუცელს, არ ნაუკითხოთ „კომბლე“, აქ ადამიანი ცხოველზე „ძალადობს“, არ ნაუკითხოთ „ნაცარქეჩია“, ეს ზღაპარი გვასწავლის, თუ როგორ უნდა გავაგლოთ უსაქმური ძმა სახლიდან. მცდარ გზაზე დადგებით ამგვარი არასწორი აზროვნებითა და ბრმად სხვაზე დათანხმებით.
სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. რა გვიხარია? რატომ ვამაყოთ იმით, რომ მარიამი და არა მარტო იგი, არამედ მისი მშობლები, ათასობით ადამიანი, ყურნალისტი, სამინისტროს თანამშრომელიც კი ამართლებს მას, რომ ნაწარმოებიდან, რომლიდანაც უნდა დავინახოთ, თუ რა სამინელი მდგომარეობა იქმნება ომის პერიოდში ქვეყანაში, თუ როგორ ხდებიან ბავშვები იძულებულნი, შეიყნოსონ ნებო, რათა მოშორდნენ მწარე რეალობას ცოტა ხნით მაინც, მარიამი ხედავს მხოლოდ ნებოს შეყნოსვის ინსტრუქციას. მოთხრობა დაგვანახებს მწარე რეალობას, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ და არ უნდა გავექცეთ მას. ეს ყოველდღიურობაა, რომელსაც ქუჩაში ხშირად ვხვდებით ხოლმე და სულაც არ არის ამგვარად აღსაფოთებელი, რომ უკვე მოზარდ ბავშვებს დავანახოთ სიმართლე. არასწორად მსჯელობს მარიამი და ამ კონკრეტულ სახელში ვგულისხმობთ ყოველ ადამიანს, რომელიც მის აზრს იზიარებს. აშკარაა, რომ მარიამს თავისი მშობლები მხარს უჭერენ და მათაც არასწორად გაიგეს ნაწარმოების აზრი, თუმცა რას ვიფიქროთ პედაგოგზე, რომელმაც ათობით ბავშვს უნდა აუხსნას ეს ნაწარმოები და აუხსნა კიდევც, ფაქტი ნათელია. სავარაუდოდ, სწორედ პედაგოგს მიუძღვის დიდი წვლილი, მარიამს ამგვარი წარმოდგენა რომ შეექმნა.
არ გვინდა ყრუაშვილობა საზოგადო სენი გახდეს ქართველთათვის, არ გვინდა მომავალი თაობა ამგვარად, მცდარად ფიქრობდეს, არ გვინდა საზოგადოების დიდი ნაწილი ნაწარმოების აზრს ვერ წვდებოდეს, არ გვინდა ჩვენი ქვეყანა ასე ადვილად იქცეს „მცდომ“ ქვეყნად და თეთრ ქალაქზე მხოლოდ შავი ნერტილი დავინახოთ და არა – მის გარშემო სპექტაკლი სითეთრე... ეს უნდა შეეცვალოს, ისევე და ისევე, ჩვენ, ადამიანებმა.

ინიწო კვამბაძე,
ანი სამშრუპასოვი
სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის №5 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეები

ოქროს კვეთა ქართულ ხალხურ პოეზიაში

ადამიანებმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს, რომ ბუნებაში იდეალურ სილამაზეს ქმნის გარკვეული პროპორციები, რომელსაც შემდგომ ოქროს კვეთა, ოქროს შუალედი ან ოქროს პროპორცია უწოდეს. ტერმინი „ოქროს კვეთა“ დიდ არაბ მათემატიკოსს, პითაგორას ეკუთვნის, რომელიც ძველი წ.აღ. მე-6 საუკუნეში ცხოვრობდა. ოქროს კვეთა მათემატიკური ტერმინია და ნიშნავს მთელის ისეთ ორ არატოლ ნაწილად დაყოფას, როცა მისი მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი – მთელს და პირიქით: დიდი ისე შეეფარდება მცირეს, როგორც მთელი – დიდს. მათემატიკური ფორმულით ეს ასე გამოიხატება:
a |-----| c |-----| b
ac : cb = cb : ab = 0,618 ან პირიქით ab : cb = cb : ac = 1.618
ოქროს კვეთის პრინციპს იცნობდნენ ჯერ კიდევ ჩვენს ნელთალრიცხვამდე დიდი ხნით ადრე და ხშირად იყენებდნენ არქიტექტურაში, ქანდაკებაში, მხატვრობაში, პოეზიაში და სხვ. ოქროს კვეთის პრინციპითაა აგებული ძვ.წ.აღ. XXVIII საუკუნის ეგვიპტის პირამიდები, ძვ.წ.აღ V საუკუნის ათენის აკროპოლისი, მცხეთის ჯვარი, ტაჯ-მაჰალი, ბერძენი მოქანდაკის, ლეოქარის აპოლონის ქანდაკება (IVს. ჩვ.წ.აღ-მდე), სერონარო და ვინჩის „ჯოკონდა“, „საიდუმლო სერობა“ და ბევრი სხვა. ოქროს კვეთას იყენებდნენ მუსიკაშიც. ოქროს კვეთის პროპორციებია ბუნებაში, რომელიც ქმნის ბუნების სილამაზესა და ჰარმონიას.
XII-XIII საუკუნეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შუა საუკუნეების უდიდესი მათემატიკოსი ლეონარდო ფიბონაჩი. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ რიცხვების მიმდევრობაში ყოველი მომდევნო რიცხვი წინა ორი რიცხვის ჯამია. ეს რიცხვებია 0, 1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55... ამ რიცხვებს ფიბონაჩის რიცხვებს ეძახიან. საინტერესოა ის, რომ ფიბონაჩის რიცხვებში ყოველი რიცხვის შეფარდება მის შემდგომ რიცხვთან, დიდი მიახლოებით, ტოლია 0,618-ის, ხოლო რიცხვის შეფარდება მის წინა რიცხვთან, დიდი მიახლოებით, ტოლია 1,618-ის. მაგ 3 : 5 = 0,6, 8 : 5 = 1,6.
ოქროს კვეთის პრინციპზეა აგებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს არის მსოფლიოში პირველი პოეტური ნაწარმოები, რომელიც შესრულებულია ოქროს კვეთის პროპორციებით, რაც დაასაბუთა ქართველმა მეცნიერმა გიორგი წერეთელმა. კერძოდ: ვიცით, რომ შოთას პოემა თექვსმეტმარცვლიანია. თითოეულ ტაეპს დიდი ცეზურა ყოფს შუაზე, ანუ მუხლებად, რომელშიც რვა-რვა მარცვლია. თავის მხრივ, ამ მუხლებს ტერფებად ყოფს პატარა ცეზურები. ცეზურა ნიშნავს ტაეპის კითხვისას შესვენებას, დიდი შესვენება დიდი ცეზურაა, პატარა კი – პატარა ცეზურა. დიდ ცეზურას ორი დახრილი ხაზით აღნიშნავენ, პატარას – ერთი დახრილი ხაზით, მაგალითად, „რა ისმენენ / მღერას ყმისას, // მხეცნი სმენად / მოვიდიან“. როგორც ვხედავთ, მოცემულ ტაეპში ორი მუხლი („რა ისმენენ მღერას ყმისას“ და „მხეცნი სმენად მოვიდიან“) და ოთხი ტერფი გვაქვს („რა ისმენენ“, „მღერას

ყმისას“, „მხეცნი სმენად“ და „მოვიდიან“). თუ კარგად დავაკვირდებით, ტაეპის კითხვისას დიდ პაუზას ვაკეთებთ მუხლების გასაყარზე, პატარა პაუზებს კი – ტერფების გასაყარზე. თითოეულ ტერფში ოთხ-ოთხი მარცვლია, ასეთ ტაეპიან სტროფს მაღალ შაირს უწოდებენ, მაგრამ გვაქვს დაბალი შაირიც, სადაც მარცვლები ტაეპის ტერფებში არათანაბრადაა განაწილებული. თითოეულში ზოგან სამი და ხუთი მარცვალია, ან პირიქით – ხუთი და სამი, მაგალითად:
5 3 5 3
„ან საყვარელსა / მიუნერს // გულამოსკენილი / მტირალი“ ან
3 5 3 5
„ჰე, ჩემო, / ესე უსტარი // არს ჩემგან / მონაღვანები“
სწორედ ეს რიცხვებია ფიბონაჩის რიცხვები, რომელთა ერთმანეთთან შეფარდება, დიდი მიახლოებით, გვაძლევს ოქროს კვეთის რიცხვს.
ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ქართულ ხალხურ პოეზიაში.
ფიბონაჩის რიცხვებს ვიპოვით ქართული ხალხური პოეზიის ტაეპებშიც და აღმოვაჩენთ, რომ ბევრი მათგანი ოქროს კვეთის პროპორციებს პასუხობს. როგორც მოგეხსენებათ, ქართული ხალხური ლექსი ძირითადად რვა მარცვლიანია. იშვიათად გვხვდება ექვს მარცვლიანიც. ამის მაგალითია „მზე დედა ჩემი, მთვარე მამაჩემი, წერილ-წერილი ვარსკვლავები და და ძმა ჩემი“. რვა მარცვლიანებში გვხვდება როგორც მაღალი შაირი, ისე დაბალი შაირი. მაღალი შაირის ტერფებში მარცვლები თანაბრადაა განაწილებული, თითოეულში ოთხ-ოთხი მარცვალია და ტემპი ჩქარია, მაგალითად:
4 4
„სერზედ მიდის / სამი მგელი,
4 4
ტუმროკლე და / კუდაგრძელი,
4 4
ერთმანეთს ე / უბნებიან
4 4
ჭალას არის / ლურჯა ცხენი...“
დაბალ შაირში ტერფებში მარცვლები განაწილებულია არათანაბრად – ერთ ტერფში სამი მარცვალია, მეორეში – ხუთი ან პირიქით – ხუთი და სამი. აქ ტემპი უფრო ნელია, ვიდრე მაღალ შაირში, ავილოთ „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“:
3 5
„მოყმემან, / პირშიშველამან
5 5
შობე გაიარნა / კლდისანი,
5 3
მოინადირნა, / დალახნა,

3 5
ბილიკნი / ჭიუხისანი.
3 5
შამახედის / კლდისა თავზედა
5 3
ხორონი ჯიხვე / ბისანი,
5 3
ჯიხვსა თოფ დახკრა / ბერხენსა,
5 3
ჭალას ჯახნ იქნეს / რქისანი.“
ახლა ვნახოთ ცნობილი ხალხური ლექსი „ჯარჯი“:
3 5
„ჯიხვების / განავალი კლდე,
3 5
რო ნახო, / ვაგიკვირდება:
3 5
იმათ ნა /წოლსა, ნადგომსა
3 5
რა თვალნი / მოეკიდება.“
როგორც ვხედავთ, ფიბონაჩის რიცხვები გვხვდება დაბალი შაირის ლექსების ტერფებში და მათი შეფარდება, 3:5 და 5:8, სადაც 5 და 3 ტაეპის ტერფებში მარცვლების რაოდენობაა, 8 კი ტაეპში მარცვლების რაოდენობას აღნიშნავს. მათი შეფარდება ერთმანეთთან აქაც, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, დიდი მიახლოებით, უტოლდება ოქროს კვეთის პროპორციების შეფარდებას: სამი გაყოფილი ხუთზე ტოლია ნუ-ლი მთელი ექვსი მეათედის (0.6-ის), ხუთი გაყოფილი რვაზე კი ტოლია ნული მთელი ექვსას ოცდახუთი მეათასედის (0,625-ის). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“, რაც ბუნებრივია, რადგან „ვეფხისტყაოსანით“ შოთა რუსთაველმა გააერთიანა ქართული რვა მარცვლიანი ხალხური ლექსი და შექმნა ახალი ლექსთწყობა, ვერსიფიკაცია, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები.
ზამირა /დოდო/ კოპიაშვილი
ნალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ოზნის საჯარო სკოლა,
„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“
გამოყენებული ლიტერატურა:
iliauni.edu.ge;
გიორგი წერეთელი, „ოქროს კვეთა“ ვეფხისტყაოსანში“;
შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“;
ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები.

ახალი ახგაბი

გამოსდილების გაზიარება



პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის ფარგლებში, 10 აპრილს, პროფესიულმა კოლეჯმა „იკაროსი“ 203-ე საჯარო სკოლის სმენის სირთულეების მქონე მოსწავლეებს უმასპინძლა.

კოლეჯში ვიზიტის დროს, მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ პროფესიული სასწავლებლის გარემოს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, შეხვედროდნენ მზარეულის პროფესიით დასაქმებულ სმენის შეზღუდვის მქონე კურსდამთავრებულებს, რომლებმაც საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

კოლეჯში ვიზიტის ბოლოს, მოსწავლეებს კერძის მომზადებაში ჩაუტარდათ მასტერკლასი, რომელსაც ჟესტური ენის მცოდნე მზარეული უძღვებოდა. 203-ე სკოლის მოსწავლეების ვიზიტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი დაესწრო.

შეგახსენებთ, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო რეგისტრაცია 10 აპრილს დაიწყო და 22 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.



ჩემი პირველი ქართული როლი

სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების მოსწავლეებისთვის, ქართულენოვანი სპექტაკლების კონკურსი ჩატარა სახელწოდებით – „ჩემი პირველი ქართული როლი“, რომლის ფინალი, დედაენის დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართა.

კონკურსი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა და მისი მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა, სახელმწიფო ენაზე სამეცნიერო კომპეტენციების განვითარება და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

საკონკურსო ნამუშევრების (სპექტაკლების) შეფასების კომისიამ სამი საპრიზო ადგილი და ჟიურის სიმპათია გამოავლინა: პირველი ადგილის მფლობელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა გახდა, მეორე ადგილი თბილისის №96 საჯარო სკოლამ დაიკავა, მესამე ადგილი წილად ხვდა ქალაქ ახალციხის №3 საჯარო სკოლას, ჟიურის სიმპათია კი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა გახდა.

მიხეილ ჩხენკელი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ჩვენს მრავალეროვნულ ქვეყანაში, ეთნიკური თუ სხვა კუთვნილების მიუხედავად, ყველას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ თანამედროვე საქართველოს შენების უშუალო მონაწილე და შემოქმედია. ამიტომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ყველა მოქალაქისთვის თანაბარ შესაძლებლობათა შექმნა. ჩვენ არაერთ პროექტს ვახორციელებთ ეთნიკური უმცირესობების განათლების ხარისხის ზრდისა და სამოქალაქო ინტეგრაციისათვის.“

ქართულენოვან სპექტაკლებზე მუშაობა, სცენარების, მხატვრული თუ მუსიკალური გაფორმების შეთხზვა, ქართული ენის დაუფლებასთან და საკომუნიკაციო უნარების დახვეწასთან ერთად, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა-განვითარების საუკეთესო გზად მივიჩნით და ამიტომაც ჩვენთვის დიდი პატივი იყო ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა.“

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: „საქართველოს სკოლების არაქართულენოვანმა მოსწავლეებმა 70 სპექტაკლი წარმოადგინეს და მათგან სამი საუკეთესო სპექტაკლი და ერთი მონოლოგი შეირჩა. ამბულეგებელია, როდესაც სცენაზე ვხედავთ მოსწავლეებს, რომლებიც გამართული

ქართულით მეტყველებენ. მათ გადალახეს არა მარტო საკომუნიკაციო ბარიერი, არამედ სრულად შევიდნენ როლში და საუკეთესო სპექტაკლები გვიჩვენეს.“

ამ კონკურსის მიზანი იყო ქართული ენის პოპულარიზაცია არაქართულენოვან მოსახლეობაში და ქართულ ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარება მოსწავლეებში, მაგრამ შედეგად ამაზე მეტი მივიღეთ – სპექტაკლებმა საშუალება მისცა მოსწავლეებს, უკეთ გამოეხატათ საკუთარი გრძობები და თანატოლებისთვის ეჩვენებინათ, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვანია ინტეგრაციისათვის და რომ სახელმწიფო ენაა ის ბერკეტი, რომლითაც მთელ ქართულ საზოგადოებას, სხვა მოსახლეობას უკავშირდები.“

სახელმწიფო მინისტრის, ქეთევან ციხელაშვილის აზრით, კონკურსმა დაგვანახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართული ენის, სახელმწიფო ენის ფლობა იმისათვის, რომ წარმატებული იყო ნებისმიერ სფეროში და ბავშვები ძალიან კარგად აცნობიერებენ ამას. „ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი სვეტია და სახელმწიფოს მხრიდან შევქმნით ყველა შესაძლებლობას იმისათვის, რომ ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს ჰქონდეს სახელმწიფო ენის სრულფასოვნად შესწავლის შესაძლებლობა, ბუნებრივია, მშობლიურ ენასთან ერთად, საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნების პარალელურად, იმიტომ, რომ ეს არის მართლაც წარმატების გასაღები ჩვენს საერთო სამშობლო საქართველოში.“

მარიამ ჯაშმა საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ქართული ენის სათანადო ცოდნის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ბავშვებმა საგარეჯოს, ახალციხის, გარდაბნისა და თბილისის სკოლებიდან არაჩვეულებრივად გაართვეს თავი მიცემულ დავალებას. „რაც მთავარია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელოვნებო განათლება გაძლიერდეს, ქვეყნის მასშტაბით, თითოეულ სკოლაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული თეატრის არაქართულენოვან სკოლებში შეტანა. მინდა, მადლობა გადაუხადო თითოეულ პედაგოგს, რომელთა დახმარებითაც მომზადდა დღევანდელი წარმოდგენები და მივულოცო ბავშვებს მათი პირველი, ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება ქართული თეატრის სცენაზე.“

დასასრულ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა და კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ ფინალისტებს ფულადი პრიზები და დიპლომები გადასცეს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, ფინალში გასული სპექტაკლების ყველა მონაწილე, მიმდინარე წლის ზაფხულში, ბათუმის მუსიკალურ სასწავლო ბანაკში გაემგზავრება.

ენა ქართული...

2018 წლის აპრილის დასაწყისში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულარის, სოფ. კირიხლოს და მარნეულის სკოლებში დაიგეგმა ერთობლივი, ტრადიციული, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ენის კვირეული:

10 აპრილს პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ პედაგოგებმა – ლალი ნარიმანიძემ, ნანა არაბულმა და ლელა ბუთურიშვილმა და ამავე პროგრამის დამხმარე მასწავლებელმა, თამარ ყატაშვილმა მოსწავლეებს ქართული ენის დღის მნიშვნელობა გააცნეს; მოსწავლეებმა ამ თემაზე შექმნეს აფიშა-ბანერი და ბუკლეტები, რომლებიც თემში დაარიგეს.

11 ოქტომბერს სკოლებში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი სამ ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაგანაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

12 ოქტომბერს, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მოეწყო ფილმების – „მე წვიმად მოვალ“ და „ზღარბი“ – ჩვენება-განხილვა.


13 აპრილს სკოლებს შორის გაიმართა ამხანაგური კონკურსი-ვიქტორინა. გუნდებმა ჯგუფების სახელები შეარჩიეს და ლოგოები დაამზადეს.

კონკურსისთვის მასწავლებლების მიერ წინასწარ მომზადებულმა და განხორციელებულმა შემეცნებით-გასართობმა აქტივობებმა ხელი შეუწყო: მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებას, მათ დამეგობრებას, ჯგუფური მუშაობის და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ლოგიკურ და სწრაფ აზროვნებას. მოსწავლეთა შორის კომუნიკაცია მიმდინარეობდა ქართულად. აქვე გამოვლინდა სკოლებს შორის კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების ნამუშევრები. დაჯილდოვდნენ გამარჯვებული გუნდის წევრები.

16 აპრილს სკოლებში კვირეულის შემაჯამებელი დახურვა-დაჯილდოება გაიმართა, მონაწილე და გამარჯვებულ მოსწავლეებს სიგელები და ფასიანი სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ლალი ნარიმანიძე

ყულარის საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი, ნანა არაბული კირიხლოს საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი



მოსწავლე უამრავი

ვაჟა-ფშაველას ბუნების მისიონერული

ბავშვობაში დედა სულ მთხოვდა ვაჟა-ფშაველა წამეკითხა. მახსოვს, როგორ მეფერებოდა ბებიამ, „შვლის ნუკრის ნაამბობის“ წაკითხვისას რომ ვტიროდი. მას შემდეგ დრო გავიდა, მე უკვე მეთერთმეტე კლასში ვარ. ჩემს თავთან ჩაფიქრებული ძალიან განვიცდიდი და მრცხვენოდა, როცა რომელიმე მოთხრობის შინაარსს ვერ გავიგებდი, არასულიერი ობიექტის გასულიერებას, ცხოვრებასთან დაახლოებას ვერ ვახერხებდი. მარტო მე კი არა, ვერც ერთი ჩემი მეგობარი ვერ ახერხებდა ადამიანზე დაბლა მდგომ არსებებში, ასევე არაცოცხალ ბუნებაში ჩანდომას.

ბოლო დროს სულ ხელში მეჭირა ვაჟა-ფშაველას კრებული. იმ ღამეს კი მოთხრობებმა – „ტყე ტიროდა“ და „კლდე მხოლოდ ერთხელ თქვა“ – აღარ დამაძინა.

მანინ რატომ ტიროდა ტყე

დაბურულ ტყეში ჟრიაშილი ისმოდა, „ხალხი თავს დასტრიალებდა გამოტილ ხარ-ირემს, ქალებს მეტად აინტერესებდა რა გემო ექნებოდა ირმის მწვადებს. დაირა და დოლი დიპლიპიტო არემარეს აყრუებდა. ყველა ბედნიერი იყო. მხოლოდ ტყე ტიროდა, ის იყო ირმის დედა, ძუძუსაც ის აწოვებდა, ირმის მშვენიერებაში თვით ტყის მშვენიერება იყო ჩაქსოვილი.

დიდი მუხის ჩრდილში სუფრა გრძლად იყო გაშლილი, ისმოდა მრავალუამიერი, სიცილ-ხარხარი. სიმღერას ცეკვა მოჰყვა, ტრაბახობდნენ კიდეც – მიზანში ვისვრით, კარგი ბიჭები ვართო.

მოკლული ირმის ამხანაგებს უნდოდათ მისვლა, მაგრამ სატირლად ვინ მიუშვებდა, ადამიანის სუნი მგლისაზე მეტად აშინებდათ. მეორე დღეს ირმის გამოხრული ძვლები აქა იქ ეყარა ტყეში. ტყე კი, ტყე კი ისევ ტიროდა თავის შვილს და ამბობდა: „ვაჰმე, ჩემო სახელოვანო შვილო, როდისღა აღვზარდო შენისთანა შვილი, რქით და ტანით დამშვენებული, შენით ვამაყობდი და დღეის შემდეგ ვისითღა ვამაყო“.

მოსთქვამდა ტყე და თანაც ცრემლს აფრქვევდა.

კლდე მხოლოდ ერთხელ თქვა

ვაჟა-ფშაველას მხოლოდ გუმანით, გრძნობით, განცდით, არასულიერის გასულიერებით რომ უნდა ჩანდეს, უფრო მეტად დავრწმუნდი მოთხრობის „კლდე მხოლოდ ერთხელ თქვა“ წაკითხვისას.

კაცი რამდენჯერმე მიესალმა შავ კლდეს, პასუხი ვერ მიიღო. იგი კლდისაგან ბოდვის მოხდას მოითხოვს. კლდე ასე უპასუხა: * რას ეძახით კაცი ბოდვის, ჰო, ვიცი, ვიცი... ერთმანეთს სულ მუდამ-დღე გამარჯვებას ეუბნებით ერთი, ხოლო საქმით ერთუთრის დაღუპვაზე სდგებიან.

აქვე იმასაც ეუბნება კლდე, რომ ენას ნაღმა-უკულმა არ „ალაკლაკებს“. იმასაც პირში მიახლის – „ერთმანეთს სჭამთ, ერთმანეთსა ჟღეფთ, ვითომ კლდე ბრიყვია, არ იცისო გონიათ“.

დიდი ტანჯვის მტვირთველია ტყე. დარდობს იმაზე, რომ ქვეყანას არ ჰყავს კარგი მთქმელი, კარგი ჩამგონებელი... კაცი კაცს არ უჯერებს. კლდე არ იცის, რა არის ლხინი. ამიტომ თითქოს პირქუშია, მუნჯია, გულდრძოა.

ჩემთვის მარტო დასამახსოვრებელი კი არა, ყველაზე უფრო გულს მოსახვედრი და დროებას მორგებული იყო მთის ნათქვამი: გიყვარდეთ კაცო ერთმანეთი. დედა ამას უნდა ჩასჩინებდეს შვილს აკვანში ისე გამუდმებით, რომ ეს ჩაძახილი ველარა გზით ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან.

შავი კუბრივით ნისლებმა დაფარეს მთა, მთიდან წამოსულმა ქარმა წვიმის წვეთები კაცის ცრემლებს შეუერთა... და მეც ავტირდი... გულში კი გავიფიქრე, ყველამ რომ ვაჟას დაფუჯვროთ და ვიფიქროთ, დავფიქრდეთ, განვსაჯოთ ჩვენი მოქმედებები, ქვეყანაზე ამდენი უარყოფითი აღარ იქნება, რადგან ერთმანეთი გვეყვარება.



ალექსანდრა გიორგაძე
ხონის მე-2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ინფორმაცია

კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიამ და „ჩვენა სკოლა“ ტრადიციული სააღმშენებლო საქველმოქმედო ბაზრობა გამართა



გამოფენაზე გასაყიდად წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები, რომლებიც მოწვეულმა სტუმრებმა სიმბოლურ ფასად შეიძინეს. საქველმოქმედო ბაზრობის მიზანს ბორჯომის ტყე-პარკის გადარჩენა და გადამწვარი ტერიტორიების აღდგენა წარმოადგენდა. შემოსული თანხით მოსწავლეები, კომპანია „თრიფექსის“ გუნდის დახმარებით, შეიძინენ წინვოვანი ხეების ნერგებს, რომლებიც ბორჯომის ტყეში მათ სახელზე დაირგვება.

„ჩვენი ინიციატივით, ყოველ წელს იმართება საქველმოქმედო ბაზრობა, რომელიც სხვადასხვა მიზანს ემსახურება. წელს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა დიდი მონდომებით დაამზადეს ნივთები იმისათვის, რომ ბორჯომის ტყის დამწვარი ტერიტორიის აღდგენაში შეიტანონ წვლილი. ვფიქრობ, ბავშვების მონაწილეობა მსგავს ღონისძიებებში ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა კონსერვატორიის რექტორის მოადგილემ და „ჩვენი სკოლის“ დამფუძნებელმა, მანანა დოიჯაშვილმა.

ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვასთან ერთად, „ჩვენი სკოლის“ ეზოში, კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიისა და „ჩვენი სკოლის“ მოსწავლეების კონცერტიც გაიმართა.

სათუნა დოიჯაშვილი
დოქტორი,
საბუნებისმეტყველო მეცნიერების
კათედრის ხელმძღვანელი



მასწავლებლის ბიბლიოთეკა



11 ლარი

სასწავლო პროექტები ნიგნო მოყვანილი ნიგნოები დასაბრუნებელია მასწავლებლის, გასწავლის სწავლასა და სწავლის შედეგებს სწავლის შედეგებს და განვიხილოთ რა პროექტები და პროექტები და განვიხილოთ რა პროექტები და პროექტები...




ქართული I-VI კლასები ნიგნო შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სწავლების შესაბამისად და დაინახება I-VI კლასების მასწავლებლებს, ნარკვევებით დაინახება სწავლების პროცესში გამოყენება.

11 ლარი



პროფესიული უნარები დასაბრუნებელია მასწავლებლის პროფესიული უნარების განვითარების მიზნით და დაინახება მასწავლებლისთვის.

15 ლარი



4 ლარი



6 ლარი



6 ლარი



5.50 ლარი



14 ლარი



6.50 ლარი

მოქალაქეთა საინფორმაციო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცდის მონაწილეობის ოფიციალურ ვებგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

ნაძვირი და მომნიჭი ანბანი

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცდებისთვის.



სერიის ფასი - 32.40 ლ

ქართული ანბანი

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მსოფლიო ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიქმნა ჩაბარების რეგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.



სერიის ფასი 17.70 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



15 ლარი

ნიგნო დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითადად სახელმძღვანელოდ გამოიყენება მასწავლებლის მიერ და დაინახება მასწავლებლისთვის.

19 ლარი (ერთი ტალი)



15 ლარი

პროფესიული გამოცდების სივლასი გიორგი მთავრის მიერ დაწერილი, არჩეულ თემატიკაში, კონსტრუქციული პარამეტრების მიხედვით.

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მსოფლიო ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიქმნა ჩაბარების რეგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.



7 ლარი




8 ლარი



4 ლარი



12 ლარი



6 ლარი



9 ლარი



10 ლარი



10 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში



ნიგნო I

V-XVIII საუკუნეების მხარეთმცოდნეობა

ნიგნო II

XIX საუკუნის მხარეთმცოდნეობა

ნიგნო III

XX საუკუნის მხარეთმცოდნეობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი - 1 ლარი 90 თეთრი